ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 3 აგვისტო 1996 №75 (300) ფასი 40 თეთრი

# არის მეორე ბრინჯაო!



„პირველ რიგში ვულოცავ ჩემს ოჯახს, მერე მთელს საქართველოს. აქ წამოსვლის წინ ვთქვი, რაიმე მედალს ავიღებ-მეთქი. შევასრულე კიდეც. ოქროს სიდნეიდან ჩამოვიტან“ — უთხრა „სარბიელს“ დღეს დილით ელდარ კურტანიძემ, რომელმაც მესამე ადგილისთვის 1991 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი სლოვაკი იოზეფ ლოჰინა 5:0 დაამარცხა.

## გზა მედლამდე

ჯერ პირველი აგვისტოს ამბებს მოგითხრობთ, მერე კი იმას, რაც ორ აგვისტოს, დღის პირველ ნახევარში მოხდა.

ბუნებრივია, ყველანი მოუთმენლად ველოდით ელდარ კურტანიძის (90 კგ) გამოსვლას. ერთადერთ რეალურ იმედად სწორედ სოხუმელი ფალავანი შემოგვრჩა. კურტანიძის ოლიმპიური დებიუტი შთამბეჭდავი გამოდგა — ბულგარელ კოლოიან ბაევს სულ რაღაც წუთნახევარში 11 ქულა აართვა და წმინდად მოუგო. ასეთი სტარტის შემდეგ მოხდა ის, რასაც ძნელად წარმოვიდგენდით — მეორე წრეში კურტანიძე კორეელ იკ-ჰი კიმთან დამარცხდა — 2:3. პირველი ქულა ელდარმა აიღო, მაგრამ ცოტა ხანში ანგარიში გათანაბრდა. ჩვენი მოჭიდავე კვლავ დაწინაურდა (2:1) და თითქოს ყველაფერი ლოგიკურად უნდა დასრულებულიყო. კურტანიძე კვლავ აქტიურობდა, ერთ მომენტში გარისკა, ილეთი წამოიწყო, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა. თვითონ ქულა ვერ მიიღო, მეტოქემ — 2. დრო იმდენი იყო, მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა, მაგრამ კორეელი წარამარა ხალიჩიდან გარბოდა და იმდენი მოახერხა, ერთქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა (სხვათა შორის, კიმმა შემდეგ ორი შეხვედრა წააგო და ოლიმპიადას გამოეთიშა). კიდევ კარგი, ამ დასანანი მარცხის შემდეგ კურტანიძე არ გატყდა და საბრძოლო განწყობა შეინარჩუნა. მესამე წრეში მან 6:1 მოუგო მონღოლ ბაიანმუნქ განტოგტოხს.

პირველ აგვისტოს ზაზა თურმანიძეც (130 კგ) ჭიდაობდა. მანაც ჩინებულად დაიწყო: წუთსა და 16 წამში ბეჭებზე დასცა ავსტრალიელი მაიკ პიკოსი, მაგრამ მერე ზედიზედ ორი შერკინება წააგო. ბელარუს ალექსეი მედვედევთან 1:0 იგებდა და მოულოდნელად სამქულიან ილეთზე წამოეგო. ბოლო შეხვედრა ზაზას სახელგანთქმულ ბრუს ბაუმგარტნერთან მოუწია: ამერიკელთა ლომმა წინა შეხვედრა რუს ანდრეი შუმილინთან წააგო და ჯავრი ჩვენზე იყარა — თურმანიძეს 14 ქულა აართვა, თვითონ კი მხოლოდ 2 დათმო.

ორი აგვისტოსათვის ქართველებს ერთი ფალავანიღა შემოგვრჩა და მთელმა ჩვენმა ოლიმპიურმა დელეგაციამ კვლავ ჭიდაობის დარბაზს მიაშურა. სწორედ აქ უნდა გადაწყვეტილიყო, გვეყოლებოდა თუ არა მეორე მედალოსანი. კურტანიძეს მძიმე ტვირთი დააწვა. მან დილის შეხვედრებში კარგად იჭიდავა და კიდევ ორი ნაბიჯი გადადგა მედლისკენ. ლიტველი რიჩარდას პაულიუკონისთან შერკინებაში პრობლემა არ ჰქონია — აკადემიურ სტილში იჭიდავა და, მართალია, ქულებით, მაგრამ დამაჯერებლად მოიგო.

ამერიკელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ მელვინ დუგლასთან გამოცდილ და ტიტულიან მეტოქესთან (რომელიც აქამდე დაუმარცხებლად მოვიდა) პაექრობა საოცრად ნერვიული და დრამატული გამოდგა. პირველ წუთზე პასიურობისთვის კურტანიძე გააფრთხილეს. დუგლასმა ჩოქბჯენი მოითხოვა, მაგრამ ტრიალი არ გამოუვიდა, პირიქით — თვითონ დაკარგა ქულა, რადგან კურტანიძემ წამით თავი გაინთავისუფლა და ელვისებურად ფეხზე წამოხტა. მსაჯებმა იყოყმანეს, მაგრამ მაინც მისცეს წესით გათვალისწინებული ქულა. კურტანიძე დაწინაურდა, თუმცა ძირითადი დროის მთელი ოთხი წუთი წინ იყო. ელდარმა სწორი ტაქტიკა აირჩია, რისკს მოერიდა და ერთი ქულის უპირატესობა ძირითად დროშიც და დამატებით სამ წუთშიც შეინარჩუნა.

მესამე ადგილისთვის ჭიდაობის უფლება რომ მიეღო, კურტანიძეს უკრაინელი ძამბოლათ თედეევი უნდა დაემარცხებინა. შეხვედრა ჩვენიანისთვის ცუდად დაიწყო — ელდარი გააფრთხილეს და თედეევმა ჩოქბჯენიდან ტრიალით 2 ქულა აიღო. უკრაინელი იგივეს აპირებდა, მაგრამ ელდარმა კონტრილეთზე გამოიჭირა, ხიდზე შეაყენა და ბეჭებზე დაწვენა დაუპირა. თედეევი მაინც დაუსხლტა და ერთი ქულაც მიითვალა. წამოდგომისთანავე კურტანიძემ მეტოქე ხალიჩიდან გაიყვანა, ქულა აიღო და ანგარიში გათანაბრდა — 4:4.

მერე თედეევის გაფრთხილების დროც მოვიდა. ელდარმა ტრიალით ორი ქულა გააკეთა. მერე უკნიდან ჩაჩეხა მეტოქე და ბოლოს მიწოლით ხალიჩიდანაც გაიყვანა — 8:4. გამწარებული თედეევი სასტვენის შემდეგ დაეჯახა ელდარს, ეს — მსაჯს და ორივენი ხალიჩაზე აღმოჩნდნენ. შეხვედრა რომ განახლდა, უკრაინელი ჩოქბჯენში ჩააყენეს. კურტანიძემ ზედ ბოლო წამზე ტრიალი გააკეთა და საბოლოოდ 10:4 მოიგო.

ელგუჯა ბერიშვილი,
მერაბ რატიშვილი
ატლანტიდან

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ჩემპიონატი | 1 ტური | | | | | |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 3 |
| კოლხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| გორდა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| მარგვეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| გურია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სამტრედია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ზუგდიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ივერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| შევარდენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| მერანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| კახეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |
| სამგურალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 0 |



ბადრი კეთილაძის ფოტო

| | | |
|---|---|---|
| დინამო | 6:0 | სამგურალი |
| მარგვეთი | 3:0 | მერანი |
| კოლხეთი | 4:0 | კახეთი |
| სამტრედია | 1:2 | გურია |
| გორდა | 3:0 | შევარდენი |
| ბათუმი | 1:0 | ოდიში |
| ტორპედო | 3:0 | ივერია |
| დილა | 1:0 | სიონი |

ინალიშვილმა „სამგურალს“ ორი გოლი კი გაუტანა, მაგრამ იგი მარტო არ გახლდათ. ამ ტურში

## 7 ფეხბურთელმა დუბლი გააკეთა,

ექვსმა თავის გუნდს დიდი ანგარიშით მოაგებინა, ლანჩხუთელმა გოდერძიშვილმა კი სტუმრად ორჯერ აიღო სამტრედიის კარი და ამის წყალობით

## „გურიამ“ სტუმრებს ნამუსი მოწმინდა

დანარჩენებმა ხომ შვიდივე შეხვედრაში მშრალად წააგეს, აქედან ხუთი დიდი ანგარიშით

ხვალ ჩარტერული რეისით თბილისს ჩამოვა „დინამოს“ მეტოქე ნორვეგიის „მიოლდე“, რომელიც 6 აგვისტოს უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს გაუმართავს ჩვენს ჩემპიონს.

მაიქლ ჯონსონი უმაგალითო — 200 და 400 მეტრიან დუბლს უმიზნებდა და კიდეც აისრულა საწადელი. მართალია, 400 მეტრზე რომ გაიმარჯვა, მსოფლიო რეკორდს ვერ შეწვდა, მაგრამ 200-ზე სასწაული შედეგი გააჩერხა: წლეულს, 23 ივნისს დამყარებულ თავისსავე რეკორდს ერთბაშად 0,34 წამი ჩამოაკლო! ახალი რეკორდი 19,32 წამია.



## დღე მეცამეტე

ოთხშაბათი 31 ივლისი

### მძლეოსნობა

ვაჟები. 800 მეტრზე სირბილი

1. ვებიერნ როდალი (ნორვეგია) 1.42,58
2. ეზეკიილ სეპენგი (სამხრეთი აფრიკა) 1.42,74
3. ფრედ ონიანჩა (კენია) 1.42,79

ბადროს ტყორცნა

1. ლარს რიდელი (გერმანია) 69,40 მ
2. ვლადიმირ დუბროვშჩიკი (ბელარუსი) 66,60
3. ვასილი კაპტიუხი 65,80

ქალები. 100 მ თარჯრბენი

1. ლუდმილა ენკვისტი (შვედეთი) 12,58
2. ბრიგიტა ბუკოვეცი (სლოვენია) 12,59
3. პატრისია ჟირარ-ლენო (საფრანგეთი) 12,65

400 მ თარჯრბენი

1. დიონ ჰემინგსი (იამაიკა) 52,82
2. კიმ ბათენი (აშშ) 53,08
3. ტონია ბუფორდ-ბეილი (აშშ) 53,22

სამხტომი

1. ინესა კრავეცი (უკრაინა) 15,33 მ
2. ინა ლასოვსკაია (რუსეთი) 14,98
3. სარკა კასპარკოვა (ჩეხეთი) 14,98

### ველოსპორტი

ვაჟთა საგზატკეცილო რბოლა

1. პასკალ რიშარი (შვეიცარია)
2. როლფ სორენსენი (დანია)
3. მაქს შანდრი (ბრიტანეთი)

### ბადმინტონი

ვაჟი წყვილები

1. რექსი მაინაკი და რიკი სუბაჯია (ინდონეზია)
2. ჩინ სუნ კიტი და იაპ კიმ ჰოკი (მალაიზია)
3. ანტონიუს და დენი კანტონოები (ინდონეზია)

ქალი წყვილები

1. გე ფე და გუ ჯუნი (ჩინეთი)
2. იუნ გილ ახი და ხაე იანგ ოკი (კორეა)
3. იუნგსუ ტანგი და იუიუან კინი (ჩინეთი)

### პინგ-პონგი

ქალები

1. დენ იაპინგი (ჩინეთი)
2. ინ ჩენი (ტაივანი)
3. ხონგ კაო (ჩინეთი)

### მშვილდოსნობა

ქალები

1. კიმ კიუნგ ვუკი (კორეა)
2. ჰე იუნგი (ჩინეთი)
3. ოლენა სადოვნიჩა (უკრაინა)

### წყალში ხტომა

ქალები. ტრამპლინი

1. ფუ მინსია (ჩინეთი) 547,68 ქულა
2. ირინა ლაშკო (რუსეთი) 512,19
3. ანი პელეტიერი (კანადა) 509,64

### აფროსნობა

საზოგადო „ლაზერი"

1. რობერტ შიდტი (ბრაზილია)
2. ბენ ენსლი (ბრიტანეთი)
3. პეერ მობერგი (ნორვეგია)

ქალები. „ევროპა"

1. კრისტინ როუგი (დანია)
2. მარგრიტ მატისე (ჰოლანდია)
3. კურტნი ბეკერ-დეი (აშშ)

### თავისუფალი ჭიდაობა

48 კგ

1. კიმ ილი (ჩრდილოეთი კორეა)
2. არმენ მკრტიჩიანი (სომხეთი)
3. ალექსის ვილა (კუბა)

57 კგ

1. ქენდოლ ქროსი (აშშ)
2. გია სისაური (კანადა)
3. რი იონგ სამი (ჩრდილოეთი კორეა)

68 კგ

1. ვადიმ ბოგიევი (რუსეთი)
2. თაუნსენდ სონდერსი (აშშ)
3. ზაზა ზოზიროვი (უკრაინა)

82 კგ

1. ხაჯიმურატ მაგომედოვი (რუსეთი)
2. იანგ ჰიუნ-მო (კორეა)
3. ამირ რეზა ხადემი (ირანი)

100 კგ

1. კურტ ენგლი (აშშ)
2. აბას ჯადიდი (ირანი)
3. არავიტ საბეევი (გერმანია)

ნომერში გამოყენებულია AP-ს, REUTERS-ისა და ტელეფოტოები

## აქა ქართველთა ამბავი

### მხატვრული ტანვარჯიში

ტანმოვარჯიშეები ჯორჯიას შტატის ქალაქ აუხში გამოდიან. რამდენიმე დღის წინ ეკა აბრამია და მისი მწვრთნელი ელისო ბედოშვილი იქ გაემგზავრნენ. ერთი დღე ივარჯიშეს და შემდეგ ტურნირში ჩაებნენ. მრავალჭიდში აბრამიამ 37 სპორტსმენს შორის 26-ე ადგილი დაიკავა 18,383 ქულით.

### მძლეოსნობა

ქალები. ბირთვის კვრა. 31 ივლისი

ელვირა ურუსოვამ წინასწარ ეტაპზე ბირთვი 17,69 მეტრზე გადააგდო და მე-17 ადგილი დაიკავა. ეს შედეგი საკმარისი არ აღმოჩნდა მომდევნო წრეში გასასვლელად, რადგან ბრძოლას 12 საუკეთესო ათლეტი აგრძელებდა.

### წყალში ხტომა

კაცები. 10-მეტრიანი კოშკი

ვერც გოჩა გახარიამ გააღწია მომდევნო წრეში. გოჩამ ჯამში 196,14 ქულა დააგროვა და 34-ე ადგილზე გავიდა.

# ღვინო, დუდუკი, ქალები ოლიმპიურად

**მერაბ რატიშვილი**



**ატლანტიდან**

წინა რეპორტაჟში არაერთხელ მითქვამს, რომ ოლიმპიურ სოფელში იქნებ ნებისმიერი რამის დეფიციტი იყოს, მაგრამ მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავებისა — არა. ვინც კი იკადრა სოფელში ცხოვრება, ყველა მისი წესებით ცხოვრობს და ამ დიდი ოჯახის რიგითი წევრია. ვგონებ, არ იქნება უინტერესო, თუ მოგახსენებთ, რას აკეთებს ეს დიდი ხალხი ყოველდღე, ანუ როგორები არიან შეჯიბრების მიღმა, „სამოქალაქო" ცხოვრებაში.

ადრე ისიც გითხარით, რომ სოფლის ყველაზე ხალხმრავალი ადგილი სათამაშო აპარატების ცენტრია. ამ ადგილსაც ჰყავს თავისი „მუდმივი მაცხოვრებლები", ანუ ის ხალხი, ვინც იქიდან საერთოდ არ გამოდის. ვინც მე მინახავს, უპირველესი მათ შორის იუგოსლაველი კალათბურთელი პრედრაგ დანილოვიჩია. ვერ გეტყვით, როდის თამაშობს ან როდის ვარჯიშობს ეს კაცი: დღე და ღამე აპარატებშია და ისეთი აზარტით თამაშობს, გეგონებათ, მოედანზე ხორვატიის ნაკრების წინააღმდეგ ასპარეზობსო. დანილოვიჩი დიდი კალათბურთელია, პროფესიონალია, „მაიამი ჰითში" გამოდის და ოლიმპიადაზე იუგოსლავიის ნაკრებში საუკეთესოა (ამაში თქვენც დამეთანხმებით, თუ იუგების მატჩებს ტელევიზიით თვალს ადევნებთ), მაგრამ არც აპარატებზეა ნაკლები, თანაც იგი თამაშობს ყველაფერს — ავტორბოლას, ომობანას, კეტბურთს, სათხილამურო რბოლას. აქ არის ერთი თამაში — იკრიბება 10-10 კაცი, გაიყოფიან ორ გუნდად და სპეციალურად გაკეთებულ უზარმაზარ ოთახში ლაზერის თოფებით ერთმანეთს ეომებიან. უნდა ნახოთ, ეს ორმეტრიანი კაცი ოთხად მოკეცილი როგორ ეფარება ხოლმე კედლებს, ანდა მუცელზე ხოხვით შეტევაში მიუძღვის ხოლმე თავის „რაზმს". დანილოვიჩს ლანდებივით დასდევენ თანაგუნდელები ჟელკო რებრაჩა და დეიან ბოდიროგა, ოღონდ ესენი სათამაშო აპარატს მაშინ მიუსხდებიან ხოლმე, როცა პრედრაგი თამაშს დაამთავრებს.

ვეჭვობ, იუგოსლავიის ნაკრებში ორი დაჯგუფება არსებობს. ასაკით ოდნავ უფროსები ვლადე დივაცი, ჟარკო პასპალი, ზორან სავიჩი და საშა ჯორჯევიჩი მუდამ ერთად დაიარებიან, არც სხვას ეკარებიან და არც ვინმეს იკარებენ. დივაცს, რაც ჩამოვიდა, ერთი შორტი და ერთი მაისური აცვია. ორჯერ შევესწარი ამგვარ სცენას: ოლიმპიური სოფლის გასასვლელში, ტაქსების გაჩერებაზე ეს ოთხეული საქმიანი სახეებით პირველსავე ტაქსისთან მიდიან, დივაცი ხმამაღლა ლანძღავს მძღოლს, შემდეგ მანქანაში ჯდებიან და სადღაც მიდიან. თანაც ეს საქმე ორივეჯერ გვიან ღამით მოხდა.

ცალკე დადის ლიტველ კალათბურთელთა „დიდი სამეული": საბონისი, მარჩულიონისი, კარნიშოვასი. მხოლოდ ხანდახან თუ იკადრებენ ხოლმე კურტინაიტისს. ახალგაზრდა მოთამაშეები მათ გვერდით მხოლოდ თამაშზე თუ მინახავს. საბონისი სასადილოში რომ შემოდის, ერთ წრეს ისე ტყუილად დაუვლის, შემდეგ აუარებელ ხილს დაიხვავებს ლანგარზე და, როგორც წესი, ყოველ ჯერზე ნიკოლოზ დერიუგინთან მოკითხვას მაბარებს.

საქართველოს ოლიმპიური გუნდის უშუალო მეზობლები (სართულით ზემოთ ცხოვრობენ) კუბელი ათლეტები არიან. მთელი დღე მუსიკა აქვთ ჩართული და არიან ერთ ცეკვათამაშში, თანაც ყველგან: ნომერში, დერეფანში თუ ეზოში. აქვთ ბირჟაც, რომლის ატამანი სიმაღლეზე მხტომელი ხავიერ სოტომაიორია. როცა არ უნდა გაიარო ჩვენი კორპუსის შესასვლელთან, მსოფლიოს რეკორდსმენი და ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი ფიცრის ყუთებზეა წამოწოლილი და თავისიანებს სულ რაღაცეებს უყვება. სამწუხაროდ, სოტომაიორმა ინგლისური არ იცის, მე — ესპანური, თორემ ისეთი ტიპი ჩანს, ინტერვიუზე უარს არ იტყვის. საუბედუროდ, „თანაბირჟელებად" იმისთანა ბნელმეტყველი ხალხი ჰყავს, რომ მაგათ ინგლისური კი არა, ვგონებ, ესპანურიც არ იციან წესიერად.

სამაგიეროდ, რუსული კარგად იცის ლეგენდარულმა თეოფილო სტივენსონმა, რომელიც ხანდახან გამოჩნდება ხოლმე სოფელში. ერთხელ, შუაღამისას, მე და ჩვენი მოკრივე თენგიზ მესხაძე პირველ სართულზე წყლის დასალევად ჩავედით და რას ვხედავთ — სტივენსონი შუა დერეფანში მდგარ მაგიდას მისჯდომია თანამეინახეებთან ერთად, კუბურ რომს წრუპავს და ზუსტად იმისთანა სიგარას აყოლებს, იმისი ბოლი ცხენს წააქცევს. სტივენსონი რუსულად მოგვესალმა, თქვენი საქმეები როგორ არისო, გამოგვკითხა. მერე მაგიდას მიუჯდა და ქეიფი გააგრძელა.

აი, სტივენსონის მემკვიდრეს, კუბელ მოკრივეს ფელიქს სავონს რა აქვს ამდენი გასარეცხი, ვერაფრით დავადგინე. დღეში რამდენჯერმე იგი ჩვენს პირდაპირ შენობაში განთავსებულ სამრეცხაოში შედის და გამოდის. ერთხელ ელექტრომობილი მოაყენა ჩვენს კორპუსს, სარეცხით სავსე ბევრი ყუთი ჩაალაგა, დამლაგებელ გოგონებს სარეცხის ფხვნილი გამოართვა და ყველაფერი ეს ოც მეტრში მდებარე სამრეცხაოში წაიღო. შეჯიბრზე გვეჩქარებოდა, თორემ აუცილებლად გავყვებოდი სავონს და ვნახავდი, მარტო თავის სარეცხს რეცხავს, თუ მთელი გუნდისას.

ჩვენს გვერდით კორპუსში ბრიტანელები ცხოვრობენ. პირველი შთაბეჭდილება: ყველა ათლეტი (ქალიან-კაციანად), ვინც შეჯიბრებას მორჩა, ღამით იმისთანა მთვრალი მოდის სახლში, ჩვენში რომ იტყვიან — რაღაცის გახალები აქვს დაკარგულიო. სპრინტერი ლინფორდ კრისტი საერთოდ არა სვამს, სამაგიეროდ, ხუთი დღეა შეჯიბრებას მორჩა და ყოველდღე ახალ-ახალ ქალებთან დადის. ინგლისელი ძიუდოისტი, ბარსელონის ოლიმპიადის პრიზიორი რაიმონდ სტივენსი რამდენიც შემხვდება, იმდენს გამოთქვამს მწუხარებას დათო ხახალეიშვილის ამბის გამო. შუბის მტყორცნელ სტივ ბაკლის ეს საქმე იქნებ სულაც არ ადარდებს, სამაგიეროდ, ერთი-ორჯერ მითხრა — ქინქლაძე ნაღდი ბრილიანტი გყავთო. ბაკლი იმას სწუხს, მაგ თქვენს ბიჭს „სიტიში" რა უნდაო და ფრენსის ლის გუნდის მისამართით იმისთანა სიტყვებს ამბობს, ჩემი მკითხველის წინაშე ვერაფრით გავიმეორებ. ბრიტანეთის გუნდში რამდენიმე მანჩესტერელი ათლეტია, ოღონდ მეოთხეხარისხოვანი. თითქოს პირი შეკრესო, ყველა „იუნაიტედის" ქომაგია, მაგრამ გიოს თამაშზე კარგის მეტს არაფერს ამბობენ.

მონიკა სელეშზე ერთხელ უკვე მოგიყევით. ამ გოგოს არც წყალბურთის მატჩი გაუცდენია და არც ცურვის შეჯიბრებები. საცურაო აუზიდან ოლიმპიურ სოფელში პირდაპირ შეიძლება შემოსვლა, ჰოდა, მონიკაც თავის დამქაშებთან — ჩანდა რუბინთან და ლინდსი დავენპორტთან ერთად ამას აკეთებს. შემდეგ ელექტრომობილის გაჩერებაზე დგება, ორსამ მანქანას გაუშვებს (მანამდე ხალხთან სურათებს იღებს), ბოლოსდაბოლოს მორიგში ჩაჯდება ხოლმე და სახლში მიდის.

მისი ხორვატი კოლეგები გორან ივანიშევიჩი და ივა მაიოლი თავად არიან ფოტომოყვარულები. ხელში მუდამ ფოტოაპარატები უჭირავთ და წარამარა აჩხაკუნებენ. ერთხელ „კოდაკის" ოფისში გადავეყარე მათ, დაბეჭდილი სურათები გამოიტანეს და მერე შუა გზაში დიდი დავა ატეხეს, არა ჩემი გადაღებული სჯობს, არა — ჩემიო.

ოლიმპიურ სოფელში ბევრი ლამაზი ქალი დადის. გერმანელი მოცურავე ფრანცისკა ვან ალმზიკი ერთი მათგანია. იგი ნაღდი მზეთუნახავია. რადგან მხოლოდ აუზში და სასადილოში თუ ნახავ. სასადილოში მისი გამოჩენა და თითქმის ყველა ჯურისა და ასაკის მამაკაცების აცუნდრუკება ერთია. გაუვლ-გამოუვლიან გვერდით ტურფა ფრანცისკას, კვნესიან, ოხრავენ, იბერებიან, თავ-თავიან ენებზე რაღაცეებს ეუბნებიან, როგორც ინტუიციით ვხვდები, დაახლოებით „ქალო, შენ კი გენაცვალეს" თუ ამდაგვარს, მაგრამ ვან ალმზიკმა, ეტყობა, ძალიან კარგად იცის თავისი ფასი, თავს არავის უყადრებს და ერთ იტალიელს ისიც უთხრა, ჩემთან ლაზღანდარობას წადი სპაგეტი ჭამე და კაპუჩინო დააყოლეო.

ვარსკვლავს ამ რამდენიმე წუთის წინაც შევხვდი. სანამ ამ წერილის თხზვას დავიწყებდი, სასადილოში ავედი ყავის დასალევად, რომ არ დამძინებოდა. იქვე ბერძნებს გაემართათ პურმარილი. შუაში ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი პიროს დიმასი ჩაესვათ. ლუდით გამომთვრალმა დიმასმა უფილტრო „ქემელი" გააძრო და ზუსტად სამ ნაფაზში ბოლომდე ჩაიყვანა. მერე ბერძნებმა მაგნიტოფონი ჩართეს და სირტაკის ცეკვა დაიწყეს. ჭამაში მარტოკაცი (აბა, დილის ხუთ საათზე ვინ წამომყვებოდა სასადილოში), ეტყობა, შევეცოდე და ჩვენთან გადმოდი, დავლიოთო — მითხრეს. მაგრამ მე „სარბიელის" მკითხველს გაცილებით მეტ პატივს ვცემ, ვიდრე ბერძენ ოლიმპიურ ჩემპიონებს და ამიტომაც ამ წერილის დროულად გადმოცემისთვის პურმარილზე წიხლი ვუკარი.



ისმინა უფალმა ამერიკელი კურტ ენგლის ვედრება და ფინალში გაიმარჯვებინა სპარს აბას ჯადიდთან.

გოგი ახვლედიანის

## სურნელი

## THE SCENT OF ATLANTA ანუ დროშები ჩქარა

აგვისტოს დასაწყისია და ოლიმპიადა მართლაც რომ გაზურდა.

სხვას რას ინატრებს სპორტის მოყვარული, ანდა სპორტზე მწერალი კაცი? მითუმეტეს რომ დღე ერთია და ჩვენს ოლიმპიელთა გამო ათი ამბავი რომ არ გაიგო, არ იქნება.

საერთო ოლიმპიურ ცხრილში, სადაც ჯილდოებია აღნიშნული, ჩვენი გუნდი ტრინიდადსა და ტობაგოს ჩია ქვეყანას მეზობლობს. იმ ტრინიდადს ერთი ბრინჯაო გაუხერხებია ჩვენი არ იყოს, თუმცა ოლიმპიურ გუნდად ჩვენა ვჯობნით, რადგან დავით ხახალეიშვილი რომ სასწორთან დროულად მიეყვანათ, მაღალ ხარისხს დაეუფლებოდა და ახლა ტრინიდადს თუ ვერ ვუსწრებთ, ტაილანდს მაინც გადავუსწრებდით, მანამდე, სანამ ძმები კამსუნგები კრივის მედლებს აიღებდნენ.

სომხებს ორი ოქრო აქვთ, ყაზახები და ყირგიზებიც კი ერთ ამბავში არიან, ხოლო ბერძნებმა გვარიც კი გამოიგონეს — აკაკიდე კახიაშვილიდის.

საერთოდ, მე რომ ვაკვირდები, ქართველი უფრო კარგად მაშინ ილვწის, როცა უცხოეთის რომელიმე ქვეყანა გადააფარებს თავის დროშას. თუმცა, ეს ხატოვანი თქმა აშკარად უაზროა, რადგან უცხოეთში დროშებს მხოლოდ დაღუპულ სალდათთა ცხედრებს გადააფარებენ ხოლმე, ხოლო ჩვენში დროშის გადაფარება ეროვნული სულისკვეთების გაღვიძებას ნიშნავს, თუმცა, ეროვნული სულისკვეთების გაღვიძება და მშიერი კუჭი ბევრ სხვა საქმეში უგებენ ერთმანეთს, სპორტში კი ვერა.

სპორტსმენ კაცს პირობები სჭირია. ჩვენს ოლიმპიურ გუნდს ჩვენივე პირობებისთვის შესაფერი კარგი მომზადება ჰქონდა. მათთვის, რამდენადაც ვიცი, არაფერი დაუკლიათ, მაგრამ ჩვენი ხასიათი ხომ ასეა აწყობილი — თან რომ გადაგვყვებიან, სწორედ მაშინ უნდა ჩაფლავდე.

უყურეთ ერთი იმ ყბად აღებულ ხორვატებს — ხელბურთიო, წყალბურთიო და რა ვიცი. ვის არ ახსოვს კახი კახიაშვილი, კუნთებს რომ შეშის „ფეჩთან" იბობდა, მისი მწვრთნელი გრიქუროვი კი შეშის საშოვნად დარბოდა ცივ და ბნელურებივით გუნდ-გუნდად მფრინავ ტყვიების ქალაქში.

ახლა, ოლიმპიური ჩემპიონი კახიაშვილიდისი უკვე სულ სხვა ვინმეა, საბერძნეთმა ის გაათბო და დააფასა. ამიტომ, რაც არ უნდა გვიხაროდეს, რომ ის ქართველია (და მართლაც ხომ ქართველია), ის ახლა ბერძენი სპორტსმენი გახლავთ და კარგიცაა, რადგან მაშინ რომ კახიაშვილი აქ დარჩენილიყო, მრავალი ქართველი სპორტსმენის ბედს გაიზიარებდა. იქნებოდა დავიწყებული ვეტერანი და უკეთეს შემთხვევაში რაიმე ადმინისტრაციულ პოსტს ჩააბარებდნენ, უარეს შემთხვევაში კი ცხინვალიდან ლტოლვილის ტროლეიბუსით უფასოდ მგზავრობის საბუთს.

ამას იმიტომ ვწერ, რომ გასულ შაბათს გვარიანად გამოვლანძღე ინტერნაციონალური ეროვნული გუნდები.

გამოლანძღვის მერეღა დავფიქრდი, რომ ყველაფერს ერთნაირ თარგზე ვერ მოჭრი. სწორედ ამ დროს კახიაშვილიდისი ჩემპიონი გახდა და ვიფიქრე, რომ უფრო ხშირად სპორტსმენი კაცისთვის, უფრო ხშირად, დროშა სულაც არ არის მთავარი, არამედ — გამარჯვებაა.

საქართველომ მეტად სოლიდური ჯილდოები დაუწესა თავის მედალოსან ოლიმპიელებს — 50 ათასიდან 20 ათასამდე დოლარი.

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ ნიგერიის პირშავმა ხუნტამ სანი აბაჩას უფროსობით, ჟანგიანი გროშები თუ გაიმეტა თავისი გამარჯვებულებისთვის.

მიუხედავად ამისა, შედეგი თითქმის სახეზეა — ცხრა მედალი იგეგმებოდა. ექვსი მაინც.

თხოვნით უნდა მივმართო სამარანჩს, რომ მომავალი ოლიმპიადიდან საქართველოს გუნდნახევარი გააყვანინოს შეჯიბრზე — შინაურები თუ არა, უცხოელი გურჯ-გეორგიანები მაინც მოგვიტანენ მედლებს.

ისინი ბერძენ-რუს-ოსმალებად კი სწერიან, მაგრამ ჩვენ ხომ ჩვენივ დროშების უცნაური სიყვარულით მაინც ჩვენებად მიგვაჩნია.

წინ უცხოეთისკენ, იქ მედლებია!

## დღე მეთოთხმეტე
ხუთშაბათი 1 აგვისტო

### მძლეოსნობა

ვაჟები. 200 მეტრზე სირბილი

1. მაიქლ ჯონსონი (აშშ) 19,32 (მსოფლიო რეკორდი)
2. ფრანკი ფრედრიქსი (ნამიბია) 19,68
3. ატო ბოლდონი (ტრინიდად-ტობაგო) 19,80

400 მ თარჯრბენი

1. დერიქ ადქინსი (აშშ) 47,54
2. სამუელ მატეტე (ზამბია) 47,78
3. კალვინ დევისი (აშშ) 47,96

ათჭიდი

(100 მ, სიგრძე, ბირთვი, სიმაღლე, 400 მ; 110 თარჯრბენი, ბადრო, ჭოკი, შუბი, 1500 მ)

1. დან ობრაიენი (აშშ) 8824 ქულა (10,50; 757 სმ; 15,66 მ; 207 სმ; 46,82; 13,87; 48,78 მ; 500 სმ; 66,90 მ; 4.45,89)
2. ფრანკ ბუზემანი (გერმანია) 8706
3. ტომაშ დვორჟაკი (ჩეხეთი) 8664

ქალები. 200 მ სირბილი

1. მარი-ჟოზე პერეკი (საფრანგეთი) 22,12
2. მერლინ ოთი (იამაიკა) 22,24
3. მერი ონიალი (ნიგერია) 22,38

### ბადმინტონი

ვაჟები

1. პოლ ერიკ ჰოიერ ლარსენი (დანია)
2. დონ ჟონგი (ჩინეთი)
3. რაშიდ სიდეკი (მალაიზია)

ქალები

1. სუ ბანგ ჰუინი (კორეა)
2. მია აუდინა (ინდონეზია)
3. სუზი სუზანტი (ინდონეზია)

ქალ-ვაჟი

1. იუნგ გილ ახი და დონგ კიმ მუნი (კორეა)
2. იო ბონგ პარკი და კუინ რა მინი (კორეა)
3. ლიუ ჯიან ჯუინი და სუნ მანი (ჩინეთი)

### პინგ-პონგი

1. ლიუ გიოლიანგი (ჩინეთი)
2. ვან ტაო (ჩინეთი)
3. იორგ როსკოპფი (გერმანია)

### მშვილდოსნობა

ვაჟები

1. ჯასტინ ჰიში (აშშ)
2. მაგნუს პეტერსონი (შვედეთი)
3. კიო მუნ-ოჰი (კორეა)

### ცხენოსნობა

გუნდური კონკური

1. გერმანია (ულრიხ კირხჰოფი, ლარს ნიბერგი, ფრანკ სლოტჰააკი, ლუდგერ ბეერბაუმი) 1,750 საჯარიმო ქულა
2. აშშ 12,000
3. ბრაზილია 17,250

### აფროსნობა

„470“. ვაჟები

1. უკრაინა (ევგენი ბრასლავეცი, იგორ მატვიენკო)
2. ბრიტანეთი
3. პორტუგალია

ქალები

1. ესპანეთი (ბეგონა ვია დუფრენსე, ტერეზა საბელი)
2. იაპონია
3. უკრაინა

### ფეხბურთი

ქალები

1. აშშ
2. ჩინეთი
3. ნორვეგია

### ბალახის ჰოკეი

ქალები.

1. ავსტრალია
2. კორეა
3. ჰოლანდია

### ბადმინტონი

ვაჟები.

მე-3 ადგილისთვის. რაშიდ სიდეკი (მალაიზია) — ჰერიანტო არბი (ინდონეზია) 5:15, 15:11, 15:6

ფინალი. პოლ-ერიკ ჰოიერ-ლარსენი (დანია) — დონ ჟონგი (ჩინეთი) 15:12, 15:10

მალაიზიელ რაშიდ სიდეკს განთქმული ინდონეზიელის სუპრიატოს დამარცხების შემდეგ ფინალში ელოდნენ, მაგრამ მოულოდნელად მან ჩინელ დონ ჟონგთან წააგო. ფინალში ჩინელი მსოფლიოს მეორე ჩოგანს დანიელ ჰოიერ-ლარსენს შეხვდა. ჰოიერ-ლარსენი ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა სახელგანთქმული დანიელი ბადმინტონისტის ფორსტ-ჰანსენისა, რომელიც ათეული წლების მანძილზე ევროპელთაგან ფაქტიურად მარტო უმკლავდებოდა აზიელ სპორტსმენებს, ოღონდ ერთეულებში პირველი ვერასოდეს გახდა. ის, რაც მან ვერ შესძლო, ჰოიერ-ლარსენმა გააკეთა — დაამარცხა მეტოქე და ამ „აზიურ“ სახეობაში ოქროს მედალი მოუტანა დანიას.

ვაჟთა წყვილები. ფინალი. რექსი მაინაკი, რიკი სუბაჯია (ინდონეზია) — ჩინ სუნ კიტი, იაპ კიმ ჰოკი (მალაიზია) 5:15, 15:13, 15:12

მსოფლიოს ბოლო წლების უძლიერესმა წყვილმა კვლავ დაამტკიცა თავისი უპირატესობა.

ქალები.

მე-3 ადგილისთვის. სუზი სუსანტი (ინდონეზია) — ჯი კიმ ჰუინი (კორეა) 11:4, 11:1

ცნობილმა ინდონეზიელმა ქალმა სუსანტიმ, რომელიც ოლიმპიადის შემდეგ თანამემამულელე სუპრიატოსთან იქორწინებს, მხოლოდ ბრინჯაოს მედლის მოპოვება მოახერხა, თუმცა სპეციალისტები მომავალ ოჯახს რამდენიმე მედალს უწინასწარმეტყველებდნენ.

ფინალი. სუ ბანგ ჰუინი (კორეა) — მია აუდინა (ინდონეზია) 15:12, 15:10

ქალთა წყვილები.

ფინალი. გე ფე, გუ ჯუნი (ჩინეთი) — იუნგ გილ ახი, ხაი იანგოკი (კორეა) 15:5, 15:5

შერეული წყვილები. მე-3 ადგილისთვის. ლიუ ჯიან ჯუინი, სუნ მანი (ჩინეთი) — ჩენ ხინგონგი, პენგ ხინგონგი (ჩინეთი) 13:15, 17:15, 15:4

ფინალი. დონგ კიმ მუნი, იუნგ გილ ახი (კორეა) — იო ბონგ პარკი, კუინ რა მინი (კორეა) 13:15, 15:4, 15:2

### ფეხბურთი

ვაჟები.

ნახევარფინალი. ნიგერია — ბრაზილია 4:3

ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილია ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ოცნებას გამოეთხოვა. ეს იყო მეტად საინტერესო და სანახაობრივად ლამაზი მატჩი. ბრაზილიელებმა თავიდანვე შეუტიეს მეტოქეს და კონსეისაომ ჯარიმიდან ანგარიში გახსნა. სულ რაღაც ათ წუთში ნიგერიელების გარღვევა მარცხენა ფრთიდან რობერტო კარლოსმა საკუთარ კარში გოლით დაამთავრა 1:1. ბრაზილიელები ამ გოლს არ შეუცბუნებია, ისინი შეტევებს აგრძელებდნენ. რონალდინიოს დარტყმა ნიგერიელთა მეკარემ მოიგერია, მაგრამ ბებეტო იქვე გაჩნდა და ბრაზილია კვლავ დააწინაურა. მალე ჟუნინიომ მკერდით შესანიშნავი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა კონსეისაო და მანაც თავისი მეორე გოლი გაიტანა ამ მატჩში. პირველი ტაიმი ასეც დამთავრდა 3:1.

მეორე ტაიმშიც ღია, ლაღი ფეხბურთი იყო. 61-ე წუთზე ნიგერიელებს სხვაობის შემცირების შანსი მიეცათ, მაგრამ ოკოჩას დარტყმული პენალტი ბრაზილიელთა მეკარე დიდამ მოიგერია. ყველაფერს ისეთი პირი უჩანდა, რომ ბრაზილიელები ფინალში უნდა გასულიყვნენ, მაგრამ... მე-80 წუთზე იკპებამ მეორე გოლი გაუტანა მეტოქეს, მატჩის მიწურულს კი აიაქსელმა კანუმ დიდას ცხვირწინ აუკეწლა ბურთი და კარში მოათავსა. დამატებითი დრო დიდხანს არ გაგრძელებულა. ნვანკო კანუ თანაგუნდელის ზურგიდან შემთხვევით ასხლეტილ ბურთს დაეუფლა, მცველებს გასცდა და მეოთხე გოლი შეუგდო ოლიმპიადის ფავორიტებს. ასე რომ, ნანატრი ფინალი არგენტინა — ბრაზილია არ შედგება.

ქალები.

მე-3 ადგილისთვის. ნორვეგია — ბრაზილია 2:0.

ფინალი. აშშ — ჩინეთი 2:1

### ჩოგბურთი

ვაჟები.

ნახევარფინალები.

სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 7:6, 6:2

ანდრე აგასი (აშშ) — ლეანდერ პაესი (ინდოეთი) 7:6, 6:3

ვაჟთა წყვილები.

ნახევარფინალები. ნილ ბროდი, ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი) — მარკ-კევინ კიოლნერი, დავიდ პრინოსილი (გერმანია) 4:6, 6:3, 10:8

მარკ ვუდფორდი, ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — პოლ ჰაარჰუსი, იაკო ელტინგი (ჰოლანდიაა) 6:2, 5:7, 18:16

ქალები.

ერთეულები. ნახევარფინალი. არანჩა სანჩესი (ესპანეთი) — იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) 6:4, 1:6, 6:3

ლინდსი დავენპორტი (აშშ) — მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ) 6:2, 7:6

ქალთა წყვილები. ნახევარფინალი. სუკოვა, ნოვოტნა (ჩეხეთი) — სანჩესი, მარტინესი (ესპანეთი) 6:2, 7:6

ჯიჯი ფერნანდესი, მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ) — ბოლეგრაფი, შულცი (ჰოლანდია) 7:5, 7:6

### პინგ-პონგი

ვაჟები.

მესამე ადგილისთვის. იორგ როსკოპფი (გერმანია) — პეტრ კორშელი (ჩეხეთი) 21:17, 19:21, 21:18, 21:19

ფინალი. ლიუ გიოლიანგი (ჩინეთი) — ვან ტაო (ჩინეთი) 21:12, 22:24, 21:19, 15:21, 21:6.

### ფრენბურთი

ვაჟები.

მეოთხედფინალი.

იუგოსლავია — ბრაზილია 3:2 (15:6, 15:5, 8:15, 14:16, 15:10), ჰოლანდია — ბულგარეთი 3:1 (16:14, 9:15, 15:3, 15:13), იტალია — არგენტინა 3:1 (12:15, 15:9, 15:7, 15:4), რუსეთი — კუბა 3:0 (15:13, 17:15, 15:11).

ქალები.

ნახევარფინალი

ჩინეთი — რუსეთი 3:1 (12:15, 15:5, 15:8, 15:12), კუბა — ბრაზილია 3:2 (5:15, 15:8, 10:15, 15:13, 15:12).

### ბალახის ჰოკეი

ვაჟები.

სამხრეთი აფრიკა — აშშ 3:0, არგენტინა — მალაიზია 4:4, პაკისტანი — დიდი ბრიტანეთი 2:1, კორეა — ინდოეთი 3:3, ესპანეთი — ავსტრალია 2:1, ჰოლანდია — გერმანია 3:1.

ფინალში ერთმანეთს ესპანელები და ჰოლანდიელები შეხვდებიან. ორივე გუნდი მეორედ გადის ფინალში. გამარჯვება ვერცერთმა შეძლო — ჰოლანდიელებმა 1952-ში წააგეს, ხოლო ესპანელებმა — 1980 წელს და ახლა ერთ-ერთ გუნდს შანსი აქვს, პირველად გახდეს ოლიმპიური ჩემპიონი.



უხარიათ ესპანელ ჰოკეისტებს. ეს ესაა ავსტრალიას მოუგეს და გავიდნენ ფინალში, სადაც ჰოლანდიას ელით.

ჰოლანდიამ გერმანია ტაკო ვან დენ ჰონერტის ჰეთ-ტრიქის წყალობით დაამარცხა.

ესპანელებმა კი ფინალში მონაწილეობის უფლება ვიქტორ პუხოლისა და ხუან ესკარეს გოლებით მოიპოვეს.

ქალები.

მესამე ადგილისთვის. ჰოლანდია — დიდი ბრიტანეთი 0:0 (პენალტებით 4:3).

ფინალი. ავსტრალია — კორეა 3:1

### კალათბურთი

ვაჟები.

ნახევარფინალები.

აშშ — ავსტრალია 101:73

აშშ: პეიტონი (6), ჰარდევეი (14), რობინსონი (14), ბარკლი (24), პიპენი (6); რიჩმონდი (9), მილერი (5), მელოუნი (6), სტოქტონი (3), ო ნილი (14)

ავსტრალია: რონალდსონი (4), გეიზი (25), ჰილი (19), ბრადკე (9), რონალდსონი (4); ფიშერი (1), რეიდი (2), მაკეინონი (2), ვლაჰოვი (9), ბორნერი (2), დოჯი

იუგოსლავია — ლიტვა 66:58

იუგოსლავია: ბოდიროგა (7), ჯორჯევიჩი (16), პასპალი (3), სავიჩი (8), დივაცი (9); დანილოვიჩი (19), რებრაჩა (4), ობრადოვიჩი

ლიტვა: ლუკმინასი (3), კურტინაიტისი (22), მარჩულიონისი (5), კარნიშოვასი (8), საბონისი (14); ეინიკისი (6)

იხვევ როგორც ევროპის ჩემპიონატზე, ამ მატჩის ბედიც იუგოსლაველთა უკანასხელების — დანილოვიჩის, ჯორჯევიჩის და ბოდიროგას კარგმა თამაშმა განაპირობა. ამათ მხოლოდ კურტინაიტისი თუ უმკლავდებოდა — მან ხუთი სამქულიანი ჩააგდო. ლიტველთა სხვა ლიდერებსაც რომ ასე ეთამაშათ, ალბათ, ფინალში გასვლასაც მოახერხებდნენ.



ევროპის პირველობის დარად, ლიტვამ კვლავ წააგო იუგოსლავიასთან და ახლა მესამე ადგილზე თულა გავა. ნბა-ელ გოლიათებს — არვიდას საბონისსა და ვლადე დივაცს ასეთი ომი გაემართათ.

ქალები.

მეოთხედფინალები. აშშ — იაპონია 108:93, ავსტრალია — რუსეთი 74:70, უკრაინა — იტალია 59:50, ბრაზილია — კუბა 101:69.

ავსტრალიელმა სანდი ბრონდელომ დამატებით დროში ექვსიდან ხუთი ქულა მოიპოვა და რუსეთი მედლებისთვის ბრძოლას გამოთიშა.

### ხელბურთი

ვაჟები.

„ა“ ჯგუფი. შვედეთი — ხორვატია 27:18, რუსეთი — შვეიცარია 30:23, აშშ — ქუვეითი 29:14

1. შვედეთი 10 ქულა, 2. ხორვატია 8, 3. რუსეთი 6, 4. შვეიცარია 4, 5. აშშ 2, 6. ქუვეითი 0.

„ბ“ ჯგუფი. ესპანეთი — ეგვიპტე 20:19, გერმანია — საფრანგეთი 24:23, ალჟირი — ბრაზილია 20:20

1. საფრანგეთი 8 ქულა, 2. ესპანეთი 6, 3. ეგვიპტე 6, 4. გერმანია 6, 5. ალჟირი 1, 6. ბრაზილია 1.

ქალები.

ნახევარფინალები. დანია — ნორვეგია 23:19, კორეა — უნგრეთი 39:25.

ბარსელონას ოლიმპიადის ფინალი არ განმეორდა. დანიელებმა, რომლებიც აქ ბრწყინვალედ თამაშობენ, აშკარა უპირატესობით მოიგეს წინა ოლიმპიადის ფინალისტ ნორვეგიელებს. კამილა და ანია ანდერსენებმა, ანეტ ჰოფმანმა, ჯანეტა მადსენმა და მათმა თანაგუნდელებმა მხოლოდ მაშინ მისცეს თავს მეტოქეების უფლება, როდესაც 5 წუთით ადრე ანგარიში 22:14 იყო მათ სასარგებლოდ და ნორვეგიელებმა მოახერხეს სხვაობის შემცირება. ანია ანდერსენმა მეტოქეს 9 ბურთი გაუტანა, კამილამ — 7. ფინალში დანია ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ კორეას შეხვდება.



შტეფი გრაფი ატლანტაში რომ ვერ ასპარეზობს, გაილაღა ესპანელმა არანჩა სანჩესმა და ფინალში გავიდა, სადაც ამერიკელ ლინდსი დავენპორტს ეთამაშება.

## ქვეყნების მონაგარი
ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ | 32 | 31 | 16 |
| რუსეთი | 21 | 16 | 9 |
| ჩინეთი | 16 | 19 | 11 |
| საფრანგეთი | 14 | 6 | 14 |
| გერმანია | 12 | 13 | 21 |
| იტალია | 11 | 6 | 9 |
| ავსტრალია | 8 | 9 | 18 |
| უკრაინა | 7 | 2 | 8 |
| კორეა | 6 | 9 | 5 |
| პოლონეთი | 6 | 5 | 3 |
| რუმინეთი | 4 | 5 | 6 |
| უნგრეთი | 4 | 3 | 6 |
| საბერძნეთი | 4 | 3 | 0 |
| შვეიცარია | 4 | 1 | 0 |
| კუბა | 3 | 5 | 8 |
| იაპონია | 3 | 5 | 3 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 6 |
| ახალი ზელანდია | 3 | 2 | 1 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 2 |
| დანია | 3 | 1 | 1 |
| ირლანდია | 3 | 0 | 1 |
| თურქეთი | 3 | 0 | 1 |
| კანადა | 2 | 8 | 7 |
| ჰოლანდია | 2 | 4 | 9 |
| ყაზახეთი | 2 | 3 | 1 |
| ბელგია | 2 | 2 | 2 |
| ჩრდილოეთი კორეა | 2 | 1 | 2 |
| სამხრეთი აფრიკა | 2 | 1 | 1 |
| ეთიოპია | 2 | 0 | 0 |
| ბელარუსი | 1 | 5 | 8 |
| ბრიტანეთი | 1 | 5 | 6 |
| შვედეთი | 1 | 3 | 1 |
| იამაიკა | 1 | 3 | 0 |
| ჩეხეთი | 1 | 2 | 3 |
| ფინეთი | 1 | 2 | 0 |
| ნორვეგია | 1 | 1 | 3 |
| ინდონეზია | 1 | 1 | 2 |
| სომხეთი | 1 | 1 | 0 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 1 |
| იუგოსლავია | 1 | 0 | 1 |
| კოსტა-რიკა | 1 | 0 | 0 |
| ეკვადორი | 1 | 0 | 0 |
| ჰონკონგი | 1 | 0 | 0 |
| სირია | 1 | 0 | 0 |
| ბულგარეთი | 0 | 4 | 4 |
| კენია | 0 | 2 | 1 |
| ნამიბია | 0 | 2 | 0 |
| სლოვენია | 0 | 2 | 0 |
| ავსტრია | 0 | 1 | 1 |
| ირანი | 0 | 1 | 1 |
| მალაიზია | 0 | 1 | 1 |
| არგენტინა | 0 | 1 | 0 |
| ხორვატია | 0 | 1 | 0 |
| უზბეკეთი | 0 | 1 | 0 |
| ზამბია | 0 | 1 | 0 |
| ნიგერია | 0 | 0 | 2 |
| ტრინიდად-ტობაგო | 0 | 0 | 2 |
| საქართველო | 0 | 0 | 1 |
| ისრაელი | 0 | 0 | 1 |
| მექსიკა | 0 | 0 | 1 |
| მოლდოვა | 0 | 0 | 1 |
| მონღოლეთი | 0 | 0 | 1 |
| მაროკო | 0 | 0 | 1 |
| მოზამბიკი | 0 | 0 | 1 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 1 |
| უგანდა | 0 | 0 | 1 |

# ეს დუბლები გეთამაშეთ...

## დინამო 6:0 სამგურალი

**დინამო:** გელა ჭანტურია, კალაძე, ზამთარაძე, დიდავა, მ. მაჭავარიანი, გ. ჯელაძე (მესხი 69), ინალიშვილი, ლ. კობიაშვილი, კოტორაშვილი (დავითნიძე 61), ხომერიკი, ხორგუაშვილი
**სამგურალი:** ა. ჯანელიძე (თევზაძე 69), ლ. ქობულაძე, მანაგაძე, ივანეიშვილი, გ. ჯანელიძე, უშვერიძე (ხურცილავა 34), ფხაკაძე, ლ. ფესტვენიძე, გოგელიძე (ბუნტური 57), ესაიაშვილი, კ. ჯანაშია
1:0, 2:0 კობიაშვილი (10, 16), 3:0, 6:0 ხომერიკი (34, 85), 4:0, 5:0 ინალიშვილი (45 პ, 64)
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

„დინამომ" ჯგუფის დებიუტანტთან ექსპერიმენტული, უკეთ კი, სათადარიგო შემადგენლობა რომ გამოიყვანა, ეს გასაკვირი არც იყო. მიუხედავად ამისა, მცირერიცხოვანი მაყურებელი, რომელთაც გახსნის მატჩისთვის ჩვეულად ფეხზე ადგომა და ჰიმნის მოსმენა მოუწიათ, დინამოელთა მწვრთნელის საქციელის ახსნას ეძებდა, თუმცა შეხვედრის დასაწყისში ქომაგთ თავად ყიფიანიც გაუხდათ საძებნი. ბატონი დათო მხოლოდ მე-7 წუთზე შეუერთდა გუნდის სათადარიგოთა სკამს. ბუნებრივია, 6:0-ის შემდეგ „დინამოს" მწვრთნელს ვერავინ დასძრახავდა, თამაშზე ზოიძე, იაშვილი, კერძევაძე, ყიზილაშვილი, ცქიტიშვილი, კიკნაძე, ანჩაბაძე და კუდინოვი განაცხადშიც რომ არ შეიყვანა. თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელთა პერსონალურ ქომაგებს მაინც ეჭვის ჭია ღრღნიდათ და გაჩნდა ვერსიები. ეს, ყიფიანი უეფას თასის მატჩის წინ ბიჭებს ასვენებსო, ის, ზოგ-ზოგები ტრავმირებულნი არიანო. ისიც კი ითქვა, თამაშს „დინამოს" მომავალი მეტოქის მზვერავი ესწრება და ყიფიანი მათ ფეხბურთელებს უმალავსო. სიმართლეს, ალბათ, პირველი უფრო შეეფერებოდა. „დინამომ" უეფას თასის წინასწარი თამაშების გარდა სუპერფინალური და ორიც ამხანაგური შეხვედრა გამართა აშხაბადის „კოპეტდაღთან" და თურქმენეთის ნაკრებთან. რაც შეეხება ვითომ მზვერავსა და უჩვეულო შემადგენლობას, ყიფიანის პასუხი ცოტა უცნაური, მაგრამ ლაკონური იყო: „რა სათადარიგო? ძირითადის ხალხი თამაშობდა". გაუგებარი კია, „დინამოში" სულაც პირველად მოთამაშე ხორგუაშვილი, ორი კვირის წინ 16 კაცში ვერმომხვდარი ინალიშვილი, ზამთარაძე, გიზო ჯელაძე, ხომერიკი და კოტორაშვილი ძირითადები ყოფილან, წერილის თავში ჩამოთვლილი ფეხბურთელები კი სამარქაფონი.

როგორც გითხარით, პირველი სახიფათო შეტევა „სამგურალმა" განახორციელა. მე-3 წუთზე „დინამოს" მცველმა კახა კალაძემ ლევან ფესტვენიძესთან ორთაბრძოლაში ბურთი დაჰკარგა და მას საჯარიმოს მისადგომებთან კახა ესაიაშვილი დაეუფლა. წყალტუბოელთა ეული თავდამსხმელი საჯარიმოში მარცხნივ შევიდა და მისი დარტყმული ჭანტურიას თავგანწირული ნახტომით კუთხურზე რომ არ მოეგერიებინა, ჩემპიონატის პირველი გოლიც გავიდოდა. ამ შეტევამ გამოაფხიზლა მასპინძლები და მთელი თამაში „სამგურალი" საკუთარ კარს მიაჯაჭვა. ჯერ კოტორაშვილმა დაარტყა, მაგრამ თავისიანს, კობიაშვილს გაარტყა კარისკენ წასული ბურთი. მერე იმავე კოტორაშვილს ინალიშვილის პასი მეტოქის მცველებმა წაართვეს, მე-8 წუთზე კობიაშვილს ხორგუაშვილმა მიაწოდა კარგად, მაგრამ ლევანს მეკარემ აუღო. 2 წუთის შემდეგ კი ინალიშვილის დარტყმული ავთანდილ ჯანელიძემ მოიგერია, მაგრამ კობიაშვილმა დაამატა და მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა. მე-14 წუთზე იგივეს გაკეთება ესაიაშვილმა სცადა, მაგრამ ჯარიმიდან ჩამოწოდებული თავით ააცილა, შემდეგ კი კალაძესა და დიდავას დაუსხლტა და მარცხენა ფლანგზე უშვერიძე გაიყვანა, მაგრამ მას ბურთი ფეხებში აებლანდა და პირით ხაზს იქით გაექცა. ამასობაში ადგილობრივმა ინფორმატორმა მაყურებლებს ამცნო, რომ თამაშს საქართველოში შეკრებაზე მყოფი თურქმენეთის ნაკრები და ამ ქვეყნისვე „კოპეტდაღი" ესწრებაო, რასაც ქომაგთა ტაში და ოვაცია მოჰყვა (?).

მე-18 წუთზე ხომერიკმა საჯარიმოსკენ მიმქროლავმა მიიღო ბურთი და სირბილშივე კარისკენ მოჭრილად დაარტყა, მაგრამ ჯვარედინს მცირედით ააცილა. ცოტა ხანში ხორგუაშვილმა სცადა მეკარისთვის თავზე ბურთის გადაგდება, მაგრამ მეკარემ მოიგერია. 24-ე წუთზე კობიაშვილმა თავის, მარცხენა ფლანგზე საოცარი სისწრაფით ჩაიქროლა, საჯარიმოს კუთხესთან მანაგაძე და ქობულაძე მოატყუა და ახლო ცხრიანში ისე გაარჭო ბურთი, მეკარეს არათუ ხელის განძრევა, ლამის თვალის დახამხამებაც არ აცალა. ათ წუთში „დინამომ" კვლავაც იხეირა. ამ დღეს მარჯვენა ფლანგზე გიზო ჯელაძემ ჩართო თავისი სიჩქარეები, საჯარიმოში ივანეიშვილსა და მანაგაძეს ტრიალ-ბზრიალში თავბრუ დაახვია და კიდეც დაარტყა. ჯანელიძემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ გამოვარდნილს პირველმა ხომერიკმა მოუსწრო და 3:0 გახადა.

ეს იყო და, „სამგურალმა" მდგომარეობის გამოსწორება სცადა. 35-ე წუთზე დანიშნული ჯარიმა კახა ჯანაშიამ მოულოდნელად პირდაპირ კარისკენ გაუშვა, მაგრამ ოდნავ ააცილა მიზანს, ბადეს გარედან გაარტყა. მიზანი რომ უკეთ გაესწორებინა, გოლი გარდუვალი იყო: დაუფარავი კუთხიდან ბურთს ვერავინ გამოიტანდა. I ტაიმი თითქოს ასეც უნდა დასრულებულიყო. სტუმრები ცდილობდნენ, შესვენებამდე შეენარჩუნებინათ ანგარიშში ეს სხვაობა, მაგრამ ბოლო წუთზე კოტორაშვილი ისე შეიჭრა საჯარიმოში, მანაგაძეს სხვა გზა აღარ ჰქონდა, მოცელა და პენალტი ინალიშვილმა გაიტანა. უჩვეულო იყო, თერთმეტმეტრიანზე მეკარეს კუთხე არ აურჩევია, წახრილი შუაში იდგა, ინალიშვილმა მარჯვენა კუთხეში სუსტად, მშვიდად, მაგრამ ზუსტად დაარტყა და ჯანელიძე, რომელიც სხვაგვარ დარტყმას ელოდა, აღარც გადამხტარა.

მეორე ტაიმშიც თამაშის შინაარსი არ შეცვლილა. ეგ იყო, „დინამომ" შეტევათა უმრავლესობა გააცუდა და მხოლოდ 2 გოლი გაიტანა. თუმცა, სანამ ამას მიაღწევდა, თითქმის ნახევარი ტაიმი გაილია. 52-ე წუთზე კობიაშვილმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ხორგუაშვილს ჩააწოდა, მან ფეხი კი დაუხვედრა ბურთს, მაგრამ კარს ახლო



ბაჩანა ძამოლაძის ფოტო

ხომერიკმა დუბლი გააკეთა

მანძილიდან გადააცილა. 64-ეზე ჯელაძის პასით ინალიშვილი გავიდა მეკარესთან პირისპირ, ჯანელიძე ჩაუწვა და ინალიშვილმა კარს ააცილა. ერთ წუთში კობიაშვილმა ისევ ჩამოაწოდა მარცხნიდან ბურთს ჯანელიძე წაეპოტინა, მაგრამ ხორგუაშვილს მიუვიდა და მან, წაქცეულმა, ისევ ააცილა. 68-ე წუთზე შეტევაში ახალგაზრდა დინამოელი ზაზა ზამთარაძე ჩაერთო, კარისკენაც დაარტყა, მაგრამ ავთანდილ ჯანელიძემ ისევ მოიგერია და გაშეშებულ მცველებთან ერთად ბურთი ინალიშვილის საკბილო გახადა. მანაც კარში უპრობლემოდ გადაგზავნა — 5:0. დაკვირვებული კაცი შეამჩნევდა, თბილისელებმა 3 გოლი სწორედ დასწრებაზე, მოგერიებულზე დამატებით გაიტანეს. ბურთის კარწინ დაგდება არცერთ მეკარეს კარგ ტონად არ ეთვლება, მაგრამ 37 წლის ჯანელიძეს, რომელიც ადრე მწვრთნელი იყო და გაჭირვებისას ჩადგა კარში, მეტს ვერც მოსთხოვ. მაინც, მეხუთე გოლის შემდეგ „სამგურალის" მთავარმა მწვრთნელმა თემურ კოხრეიძემ ჯანელიძე თევზაძით შეცვალა. მანაც ერთი-ორჯერ გამოსვლაზეც და ხაზზეც ნორმალურად ითამაშა, მაგრამ 83-ე წუთზე ისეთი კაზუსი დაემართა, რაც ლამის გოლად დაუჯდა: ერთ-ერთი დინამოელის შორიდან დარტყმული ხელში კი დაიჭირა, მაგრამ ძირს გაუვარდა, ფეხებში გაუძვრა და ხაზზე რომ არ გაექცევებინა, გოლს ვერ ასცდებოდა. ორ წუთში თევზაძემ მაინც ვერ აიცილა გოლი: ხომერიკმა ხორგუაშვილის მიერ დაგორებულს ძლიერად დაჰკრა და მატჩის ანგარიშს წერტილი დაუსვა.

სიმართლე უნდა ითქვას: დინამოელები კი სჯობდნენ მეტოქეს, მაგრამ მათი თამაში აწყობილი მაინც ვერ იყო, უპირატესობას უფრო ინდივიდუალური გარღვევების ხარჯზე აღწევდნენ. „სამგურალი" კი რაც იყო ამ მატჩში, ძნელი მისახვედრი არ არის, თუმცა, არა მგონია, მას I ჯგუფში დარჩენა გაუჭირდეს. „დინამოსთან" მათგან მეტს არავინ მოელოდა. აკი კიდეც ხუმრობდნენ, ეს რთული საქმე მოვილიეთო. ოდნავ სხვაგვარად ფიქრობდა მათი მთავარი მწვრთნელი თემურ კოხრეიძე რომელმაც მატჩის შემდეგ განაცხადა, უფრო შეუპოვრად რომ გვეთამაშა, მეტოქეს ასე არ ჩამოვრჩებოდითო. შემადგენლობაში არსებული ნაპრალების ამოსავსებად წყალტუბოელებმა თამაშის შემდეგვე იზრუნეს: „ცხუმის" ყოფილ მეკარეს ზურაბ ქვაჩახიას შეუთანხმდნენ მათ გუნდში გადასვლაზე. „სამგურალს" ზუგდიდელი მცველის ლუხუმ ჯაბუას აყვანაც სდომებია.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## ტორპედო 3:0 ივერია

**ტორპედო:** ხელაძე, მუმლაძე (ი. ხაჭაპურიძე 77), ვაშაყიძე, დ. რუხაძე (ს. გიგიაძე 70), სადილიანი, ჯინჭარაძე, კვეტენაძე, ვ. გიგიაძე, მ. მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 55), გ. მეგრელაძე, შენგელია
**ივერია:** გოგილაძე, ნეკერაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, გურამ ლომიძე, ზაზა ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე, ჩადუნელი (მ. ლომიძე 88), კალმახელიძე (ზირაქაძე 45), წივწივაძე, თორია
1:0 შენგელია (3), 2:0, 3:0 მ. მეგრელაძე (9, 41)
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

ქუთაისში დიდი ინტერესით მოელოდნენ მერვე ეროვნული ჩემპიონატის გახსნას, ჩემპიონატისა, რომელიც თუ ქალაქის მერის სიტყვებს მოვიშველიებთ — უნდა გახდეს ფეხბურთისკენ შემობრუნების საწყისი. ინტერესს განაპირობებდა ისიც, რომ ფაქტიურად სრულიად განახლებული „ტორპედო" უნდა წარმდგარიყო მაყურებელთა წინაშე. არა მგონია, რომელიმე სხვა გუნდში იმდენი ცვლილება მომხდარიყო სეზონის წინ, რამდენიც „ტორპედოში" მოხდა. მთლიანად შეცვლილ მწვრთნელთა შემადგენლობას ათი ახალწვეულიც მიემატა, რომელთაგან ხუთი უკვე სასტარტო შემადგენლობაში იხილა მაყურებელმა.

სეზონის გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მაყურებელმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო წარსულში ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" მეკარის როინ კვასხვაძის ხსოვნას და შეხვედრაც დაიწყო.

პირველივე წუთებში გამოიკვეთა „ტორპედოს" უპირატესობა. უკვე მესამე წუთზე მარცხენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს დაბნეულმა მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს და გიორგი შენგელიას არ გასჭირვებია ახლო მანძილიდან მამის სტილში ზუსტად დაერტყა. ასე გაიხსნა ანგარიში — 1:0. მე-7 წუთზე შენგელიამ დასარტყმელ პოზიციაზე უკვე გიორგი მეგრელაძე გაიყვანა, თუმცა მეკარემ იმარჯვა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. ერთი წუთის შემდეგ მეკარისათვის მიწოდებული ბურთი ჩაჭრა მერაბ მეგრელაძემ, რომელმაც შეუჩერებლად მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა. მხოლოდ ამის შემდეგ შესუსტდა ოდნავ ქუთაისელთა შეტევები და „ივერიამაც" შეძლო ორად-ორი კონტრიერიში განეხორციელებინა, თუმცა კალმახელიძისა და წივწივაძის აქტიურობას შედეგი არ გამოუღია. აღსანიშნავია, რომ ქუთაისელთა მცველებმა რუხაძემ და სადილიანმა ფეხის განძრევის საშუალება არ მისცეს ხაშურელ ფორვარდებს, რომელსაც მთელი შეხვედრის მანძილზე ამ ორი მომენტის გარდა აღარც შეუწუხებიათ ქუთაისელთა დაცვა, რომ აღარაფერი ვთქვათ, მეკარე ნიკა ხელაძეზე.

ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა კიდევ რამდენჯერმე შეუტიეს სახიფათოდ, ერთ-ერთი შეტევა 42-ე წუთზე კარის აღებით დასრულდა. შენგელია, რომელმაც „ტორპედოს" შემადგენლობაში, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, სამ ფეხბურთელს გასცდა, კარგად მიაწოდა მერაბ მეგრელაძეს, რომელიც ასეთ მომენტებს იშვიათად თუ აფუჭებს — მეკარის წინ მარტო დარჩენილმა მესამედ აიღო ხაშურელთა კარი.

მეორე ნახევარში სიცხემ თავისი კვალი დაამჩნია თამაშს. გუნდებმაც მაინცდამაინც აღარ გამოიდეს თავი. ყველა სულმოუთქმელად ელოდა, როდის მიილეოდა ტაიმი, თუმცა იყო ერთი მომენტი, როცა კიდევ უფრო „გაახალგაზრდავებულმა" მერაბ მეგრელაძემ სამ მეტოქეს აუარა გვერდი და მეკარესთან პირისპირ გავიდა. გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ბოლო მომენტში მეგრელაძეს სიზუსტემ უმტყუნა. დღეს ალბათ ნაადრევია საუბარი იმაზე, რამდენად შეიცვლება ქუთაისელთა სათამაშო კონცეფცია წინა წლებთან შედარებით, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმებისა თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ჯერ ვერ აზრებს თამაშს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ტორპედო" ჩემპიონატის მსვლელობისას ანგარიშგასაწევ ძალად იქცევა.

**მალხაზ ლაცაბიძე, „ივერიის" მთავარი მწვრთნელი:** „ტორპედომ" ღირსეულად გაიმარჯვა. ამში მოულოდნელი არაფერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენმა გუნდმა მომზადება ჩემპიონატის დაწყებამდე ათი დღით ადრე დაიწყო. თანდათან რგოლები სათანადოდ შეთამაშდებიან და, იმედი მაქვს, ადგილის შენარჩუნება პირველ ჯგუფში არ გაგვიჭირდება. „ტორპედოდან" ძალიან მომეწონა გიორგი შენგელია. თუ ამ ბიჭმა ასე გააგრძელა, ქართულ ფეხბურთს მისი სახით ახალი ვარსკვლავი შეემატება."

**სოსო ფრუიძე, „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი:** „შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. თამაშის ხარისხი კი ჯერჯერობით შორსაა სასურველისგან. რამდენიმე ფეხბურთელსაც დავიმატებთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ ჩვენს რეალურ შესაძლებლობებზე."

**რამაზ ჩხიკვაძე ქუთაისიდან**

# რუსთაველთა სახე(ლ)ცვლილება

## გორდა 3:0 შევარდენი

**გორდა:** კორომინაძე, მ. გაბელაია (ბექაური 46), სილაგაძე, პატარიძე (ცქდელაშვილი 65), მ. სახვაძე, რეხვიაშვილი, მელაძე, ჩალაძე, ა. ჯელაძე, ზირაქიშვილი, ალადაშვილი
**შევარდენი:** მოსულიშვილი (ნ. სიდამონიძე 54), ლ. გაგუა (სულთანოვი 46), ვერემჩუკი, თ. კობიაშვილი, თელიაშვილი, მინდიაშვილი, მელქაძე, კობესაშვილი, ჩიგოშვილი, საბიაშვილი, როსტიაშვილი (ცანჯავა 46)
1:0, 3:0 ჯელაძე (32, 50), 2:0 პატარიძე (34)
**გაფრთხილება:** ბექაური
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

რუსთავში სეზონის გახსნა აქაურ დაკვირვებულ გულშემატკივარს შარშანდელ შეხვედრას გაახსენებდა. მასპინძლები, ფაქტიურად, კვლავ მეორელიგელებს ხვდებოდნენ, კვლავ სამი ბურთი გაიტანეს და მოიგეს. შარშანდელივით წელსაც სეზონის წინ დაუბრუნდნენ გუნდს ძოძუაშვილი და რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი — ჩალაძე, რეხვიაშვილი, ზირაქიშვილი. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო, თუმცა, შარშანდელისგან განსხვავებით, გუნდში საკმაოდ ბევრი ცვლილებაა. ჯერ ერთი, გუნდმა დაიბრუნა ძველი სახელწოდება — ამირიდან კვლავ „გორდა" ერქმევა. „მეტალურგიული ქარხანა არანაირად არ გვეხმარება და რატომ უნდა ეწოდებოდეს გუნდს „მეტალურგი"? — გვითხრა გუნდის სპონსორმა პაატა ქანდაურაშვილმა — აღარც გურამ ქაშაკაშვილი იქნება პრეზიდენტი".

სახელწოდების გამოცვლას მწვრთნელის შეცვლაც დაემატა. წინა ნომერში რუსთაველთა სპონსორთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ. მისი თქმით, მთავარი მწვრთნელი მურმან გოგოლაძე უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს საკითხი — ახალი მწვრთნელის დამტკიცება ერთი კვირით გადაიდო. ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩში კი გუნდი იასონ ალადაშვილმა გამოიყვანა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველებმა აშკარად უკეთესი, დაბალანსებული და შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, რაც შედეგშიც ლოგიკურად აისახა. თუმცა მატჩის დასაწყისში სტუმრებიც მედგრად იდგნენ, მაგრამ აუტანელმა სიცხემ მოთამაშეებს თავიანთი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის საშუალება არ მისცა და ბრძოლასაც სიმწვავე მოაკლო. ალბათ, სიცხეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, შეხვედრას გახსნის მატჩისთვის უჩვეულოდ მცირე მაყურებელი რომ დაესწრო.

თამაში ორმხრივი შეტევებით დაიწყო. რომ არა გორდელთა ტრავმამოშუშებული მეკარის ანდრო კოროშინაძის ბრწყინვალე რეაქცია, შესაძლოა, პირველი გოლი თბილისელთა თავდამსხმელის ლერი საბიაშვილის ანგარიშზე ყოფილიყო. სტუმართა ეს თავდამსხმელი კარგად გამოიყურებოდა, სწორედ მის გამო იქმნებოდა რუსთაველთა კართან ხიფათი. თუმცა საბიაშვილის პარტნიორები შეტევების დაბოლოებისას სიზუსტეს ვერ იჩენდნენ.

რაც შეეხება ტაქტიკას: რუსთაველებმა 4-3-3 ირჩიეს, წინ ჩალაძე, ჯელაძე და ზირაქიშვილი დააყენეს და მოწინააღმდეგეს შავი დღე აყარეს. ფლანგების აქტიური ჩართვისა და მოედნის ცენტრში მელაძის გააზრებული მოქმედების წყალობით საგოლე მომენტების ნაკლებობას ნამდვილად ვერ დაიჩივლებდნენ მასპინძლები. თუმცა უამრავი შესაძლებლობიდან მხოლოდ სამი გამოიყენეს. ორი გოლი პირველ ტაიმში გავიდა, ერთიც — მეორეში. მეორე ტაიმი კი საცირკო წარმოდგენას ჰგავდა — რუსთაველი ფორვარდები თითქოს ბურთის აცილებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შორს წაგვიყვანდა იმის ჩამოთვლა, ვინ რამდენი გააფუჭა. საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ სახელ და შემადგენლობაშეცვლილმა რუსთაველებმა ნორმალური შთაბეჭდილება დატოვეს და მათი ლიდერებიდან ჩამოწერა, შესაძლოა, ნაადრევიც იყოს. ეს მნიშვნელოვან წილად გამარჯვებული იქნება იმაზე, დარჩებიან თუ არა გუნდში ჩალაძე, რეხვიაშვილი და ზირაქიშვილი, რომელთაც ისრაელის ტურნე აშკარად სასიკეთოდ წაადგათ და „გორდას" გამარჯვებაში მათი წილი უზომო იყო.

რა შეიძლება ითქვას უნივერსიტეტელებზე? გუნდს დაბალანსება აშკარად აკლია. თავდამსხმელები მცველებისაგან მოწყვეტილები იყვნენ. გარდა ამისა, გამოუცდელობასაც მიუძღვის წაგებაში ბრალი. საკმაოდ არაორგანიზებულად გამოიყურებოდნენ, ერთმანეთს ვერ აზღვევდნენ და უმაღლეს ჯგუფში დებიუტიც ამიტომ ჰქონდათ წარუმატებელი. თუმცა, არც ისე ჩანს, რომ ყველა შეხვედრა 0:3 უნდა წააგონ. ნახევარდაცვის გაძლიერებით უნივერსიტეტელებს უკეთ თამაშის უნარი რომ შესწევთ, ეს პირველ გოლამდე მათმა თამაშმა ნათლად გვიჩვენა.

შეხვედრის შემდეგ რეზო ძოძუაშვილმა ამაყად განაცხადა, როგორც ველოდი, ყველაფერი ისე მოხდაო. ბუნებრივია, მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი იასონ ალადაშვილიც გახარებული იყო:

— მართალია, მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ დავიწყეთ, მაგრამ ამის მიზეზი იყო, რომ დღეს ბევრი დებიუტანტი გვყავდა. შემდეგ ბიჭებს თანდათან მოეხსნათ დაძაბულობა და გამოავლინეს, რაც შეუძლიათ. თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ.

I ჯგუფში თავისი დებიუტი არმაზ ჯელაძემ ორი გოლითა და კარგი თამაშით აღნიშნა. იგი სწორედ იქ გამოჩნდებოდა ხოლმე, სადაც საგოლე სიტუაცია იყო:

— სეზონისთვის კარგად მოვემზადეთ და ამიტომ ვთვლი, რომ ჩვენი გამარჯვება კანონზომიერია. მთავარია, რომ მეტოქეს კოლექტიური თამაშით ვაჯობეთ. რაც შეეხება ჩემს ორ გოლს, ეს მთლიანად გუნდის დამსახურებაა.

შევარდენ-უნივერსიტეტელთა მთავარი მწვრთნელი უჩა ქანთარია ასეთ მარცხს აშკარად არ ელოდა:

— ფეხბურთელებმა თავიანთ მოვალეობებს თავი ვერ გაართვეს. დაცვამ ვერ ითამაშა სათანადოდ, გამოუცდელობამაც თავისი ჰქნა.

**— „გორდის" ფეხბურთელთა ნაწილსაც ჰქონია გამოცდილება...**

— კი, მაგრამ მათ ჰყავდათ ისეთებიც, რომელთაც გადაწყვიტეს კიდეც შეხვედრის ბედი — ზირაქიშვილი, ჩალაძე და რეხვიაშვილი. ჩვენ ასეთები, სამწუხაროდ, არა გვყავს.

უნივერსიტეტელებს თავიანთი თანაგუნდელის ლერი საბიაშვილის მსგავსად რომ ეთამაშათ, შედეგი ეგებ სხვაგვარი ყოფილიყო. ეს ჯანმაგარი თავდამსხმელი გამუდმებულად მოძრაობდა, იხსნებოდა, რუსთაველებს სულ ხიფათს უქმნიდა და ბოლომდე ირჯებოდა, თამაშში სულს და გულს დებდა. თუმცა მაინც უკმაყოფილო იყო:

— პირველივე წუთებზე რომ გამომეყენებინა საგოლე შესაძლებლობა, თამაში სხვანაირად წარიმართებოდა. მაგრამ რა უნდა ვთქვა, რუსთაველებმა ყველანაირად გვაჯობეს, მოგება მათზე ალალია.

გავესაუბრე მერაბ მალაღურაძესაც, შეხვედრის მთავარ არბიტრს. ოღონდაც თამაშზე არაფერი გვითქვამს, ჩვენი საუბარი ეხებოდა მსაჯთა ანაზღაურების ახალ სისტემას, რომლის მიხედვითაც ახალი სეზონიდან მსაჯებს შეხვედრის წინ მასპინძელმა გუნდებმა უნდა გადაუხადონ გასამრჯელო. მალაღურაძემ ამ სიახლის გამო კმაყოფილება გამოთქვა:

— ადრე ხშირად ხდებოდა, რომ ბანკი ფულს გვიკავებდა და დიდხანს ხელფასებს ველოდით. ახლა კი უცებ ჩასვლისთანავე გიხდიან.

**— ამ წესს არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, დამტკიცებისას, ზოგი იმასაც ამბობდა, ვინ იცის თამაშის წინ მსაჯს რამდენს გადაუხდიანო...**

— ასე ნებისმიერ წესზე შეიძლება დაეჭვდე. მე მსაჯი ვარ და ვიცი, რა არის უკეთესი. დამიჯერეთ ახალ წესში არაფერია საეჭვო, პირიქით.

**მერაბ მამულაშვილი**
**რუსთავიდან**

## I ტურის სტატისტიკა

| | სულ | მასპინძლები | სტუმრები |
|---|---|---|---|
| თამაში | 8 | 8 | 8 |
| მოგება | 8 | 7 | 1 |
| ფრე | 0 | 0 | 0 |
| წაგება | 8 | 1 | 7 |
| გოლი | 24 | 22 | 2 |
| საშუალო შედეგიანობა | 3,0 | 3,07 | 0,2 |
| პენალტი | 2 | 2 | 0 |
| გამოყენებულია | 2 | 2 | 0 |
| რეალიზაცია | 1,0 | 1,0 | 0 |
| დიდი ანგარიშით მოგება | 5 | 5 | 0 |
| აგებდნენ და მოიგეს | 0 | 0 | 0 |
| ჰეთ-თრიქი | 0 | 0 | 0 |
| დუბლი | 6 | 5 | 1 |
| გაფრთხილება | 7 | 4 | 3 |
| გაძევება | 0 | 0 | 0 |

# ყაველაშვილმაც ვეღარ უშველა

**დილა 1:0 სიონი**

**დილა:** სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, გიორგი ლომიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, რევაზიშვილი, წკრიალაშვილი (ფეხუაშვილი 89), კაიდარაშვილი (ჯალაბაძე 62)
**სიონი:** ბაბუაძე, კ. გოდერძიშვილი, ყაველაშვილი, ყიფშიძე, გ. ჩომახიძე, ქოიავა (ვ. სამხარაძე 80), ტარტარაშვილი, ყიფიანი, ქორთუა, ჯაგიდისი, გაბისონია (კ. მეტრეველი 74)
1:0 ლომიძე (87)
გაფრთხილება: თარხნიშვილი, ჩომახიძე
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

გორელებმა ნამდვილად იციან ფეხბურთის ფადრი. ჩვენში ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის ქომაგების ასეთ სიმრავლეს და მხარდაჭერას. მეშვიდე ჩემპიონატის გახსნისასაც გორში მომიწია ყოფნა. მაშინ გახსნის ცერემონიალი ჩინებული ჰქონდათ. ნაკლები არც ამჯერად იყო. ორიათასამდე გულშემატკივარს თამაშის დაწყებამდე მოსაწყენად არ მოაცალეს, იყო ცეკვა და სიმღერა. მოკლედ, გორში პირველი აგვისტო საფეხბურთო დღესასწაულად აქციეს. მერე მსაჯებიც და მოთამაშეებიც გამოჩნდნენ. „დილას“ პრეზიდენტმა გია რევაზიშვილმა სიტყვა წარმოსთქვა და გუნდების კაპიტნები დროშის აღსამართად გაეშურნენ. ეროვნული ჰიმნი ორკესტრმა შეასრულა, რაც ასე იშვიათია ჩვენში. მოკლედ, ცერემონიალი წესისამებრ შესრულდა და ლანჩხუთელმა ფიფას არბიტრმა ოთარ გუნთაძემ ჩასტვინა.

მატჩი დაიწყო და ყველას რომ ეგონა, „დილა“ „სიონს“ შეტევებს დაატეხს და ადვილად მოუგებსო, ასე არ მოხდა. ბოლნისელებმა გორელებს თავიდანვე აგრძნობინეს, რომ იოლად არაფერს დათმობდნენ. სტუმრებმა გორელთა პირველი შეტევები რომ მოიგერიეს, ხელი თავადაც გამოიღეს და „დილას“ ორ-სამჯერ მწარედაც უჩხვლიტეს. მათგან ამ მხრივ გაბისონია გამოირჩეოდა და იმის თქმაც თამამად შეიძლება, რომ მან იმ დღეს მასპინძელთა დაცვას სისხლი გაუშრო. ბოლნისელებს ეს ერთადერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი ჰყავდათ მინდორზე, მაგრამ „სიონში“ მიბრუნებულ ქოიავასა და ვეტერან ჯაგიდისის დახმარებით ეს კოლხეთფილი ფორვარდი პირველ ტაიმში ვერაფრით „მოიხელთეს“ მასპინძლებმა. მის მეურვე ბალაშვილს ძალიან გაუჭირდა და აკი პირველსავე წუთებში გაბისონიასთან ბრძოლაში ზედიზედ ორჯერ დაჯარიმდა. მერე, მესამედაც რომ იგივე შეემთხვა, მსაჯმა სიტყვიერად გააფრთხილა. გორელებმა რომ ნახეს, ბალაშვილი გაბისონიას ვერ უმკლავდებაო, მყის თარხნიშვილი მიახმარეს, მაგრამ აბეზარი თავდამსხმელი ვერც ამით დააოკეს. ის კი არა, თარხნიშვილმა სამიოდ წუთში გუნთაძეს ყვითელიც გამოსტყუა, მერე კი ბოლნისელთა მეთერთმეტე ნომრის მორიგი რეიდის შემდეგ კვლავ დაჯარიმდა და სტუმრები მის გაძევებასაც ითხოვდნენ, მაგრამ არბიტრმა თარხნიშვილის შეცდომა ბოლო იმედის ჯარიმად არ ჩათვალა და გორელებს მცველი შეარჩინა. ეს მომენტი იყო ცოტა სადაო, თორემ სხვა მხრივ მთავარმაც და დამხმარე მსაჯებმაც საქმეს თავი რიგიანად გაართვეს. მოკლედ, დასაწყისი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა. თავად განსაჯეთ: გაბისონიას სახიფათო გარღვევები, კარში დარტყმები (უმეტესწილად თავით), ექვსი მოწოდებული კუთხური და ეს ყველაფერი საწყის ოც წუთში. გაბისონიას და ქოიავას თაურებს სოლოლაშვილი ადგილზე დაუხვდა, ტარტარაშვილისას კი აკრობატული ნახტომი დასჭირდა. გორელთა გოლკიპერმა ამ მომენტში ნამდვილად გადაარჩინა გუნდი. ქებაც ალალად დაიმსახურა. თითქოს საშველი არ ჩანდა, გაბისონიას მესამე მეთვალყურე სჭირდებოდა და ეს საქმე გაგნიძემ იკისრა, რადგან თარხნიშვილს ლიბეროს პოზიციაც მისახედი ჰქონდა. როცა სამი კაცი ერთზეა გამობმული, შეტევაზე ფიქრი ძნელია, მაგრამ გორელები მაინც გამოფხიზლდნენ და თანდათან თამაში გამოაკეთეს. ამაში ლომის წილი ორმა გიორგიმ — რევაზიშვილმა და წკრიალაშვილმა დაიდო. რევაზიშვილმა მთელი მარჯვენა ფრთის კონტროლი იტვირთა და დაულალავადაც ამოქმედდა, წკრიალაშვილმა კი გვარიანად გასარჯა ბოლნისელი მცველები. ყოველი ხიფათი სტუმართათვის სწორედ ამ, მარჯვენა ფლანგზე იწყებოდა. ორ გიორგის მალე თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი. ტაიმის შუაში რევაზიშვილმა კუთხური მოაწოდა, ბურთი საჯარიმოს ხაზთან გაგნიძემ მიიღო და სანახევროდ შემობრუნებით შეუჩერებლად დაჰკრა. ლამის გოლი იყო, მაგრამ ყაველაშვილმა ივარგა და თავით კარიდან გამოიტანა. ისევ რევაზიშვილის გარღვევა, ისევ პასი წკრიალაშვილს და ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ამის შემხედვარე მასპინძელთა მარცხენა ფლანგელებმა, არც ჩვენ ვართ ჯაბანნიო და, ხაჭაპურიძემაც გამოიდო თავი. როგორ აკლდათ გორელებს მარღიშვილი და ხორგუაშვილი. წკრიალაშვილი და კაიდარაშვილი ურიგონი კი არ იყვნენ, მაგრამ რევაზიშვილის და ხაჭაპურიძის ნაჯაფარი მაინც წყალში იყრებოდა — პირველ ნახევარში მასპინძელთაგან გოლის შემგდები არავინ ჩანდა. თან ეს გაბისონიაც რომ არა და არ ცხრებოდა. ჩემი აზრით, სტუმრებს მისთვის ქოიავაც რომ უფრო აქტიურად შეეშველებინათ, სხვა სურათი იქნებოდა. ზურაბი, რაც უნდა იყოს, მაინც შემქმნელია, იმ დღეს კი რატომღაც შავი სამუშაოთი უფრო იყო დაკავებული, ვიდრე შეტევით. გორელებმა ტაიმის ბოლოს ნაღდი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ... ხაჭაპურიძემ მარცხნიდან, მახვილი კუთხიდან, ჯარიმა კი არ ჩააწოდა, კარში ჩაახვია. ბურთი შორ ძელს მოხვდა და მარეხაშვილს მიუვიდა. ის იყო, სტადიონს, „გოლიო“, უნდა ეყვირა, მაგრამ ისევ ყაველაშვილმა გამოყო ფეხი და „მარეხაც“ ხაზამშრალი დატოვა და კარიც გადაარჩინა.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად დაიწყო, მაგრამ აშკარა იყო, გორელებს მეტი ძალა შემორჩენოდათ. ათი დღის უვარჯიშებელმა და პირველ ტაიმში ბოლომდე დახარჯულმა გაბისონიამ შეცვლა ითხოვა. ქოიავაც დაიღალა და მარტო ჯაგიდისი, ცდა კი არ დაუკლია, მაგრამ უწინდებურად ვეღარ უტევდა. მასპინძლებს კი გამარჯვება ძალიან სწადდათ და თავსაც არ ზოგავდნენ. კვლავაც დაუზარელნი იყვნენ რევაზიშვილი მარჯვნივ და ხაჭაპურიძე მარცხნივ, გაბისონიას გასვლის შემდეგ კი თარხნიშვილმაც მოიცალა და მარეხაშვილის და ციცქიშვილის დასახმარებლად წინ აიწია. მოკლედ, გორელებმა შეუტიეს. კი შეუტიეს, მაგრამ რად გინდა, გოლი არა და არ ჩანდა. ყიფშიძემ, ყაველაშვილმა და გოდერძიშვილმა სტუმართა დაცვა შეადუღაბეს. მართალია, მათი მეკარე გია ბაბუაძე ერთ-ორჯერ გამოსვლაზე შეცდა, მაგრამ მცველები შველოდნენ. ერთხელაც ციცქიშვილის თაური ყაველაშვილმა ცარიელი კარიდან თავითვე გამოიტანა. ბოლოსკენ „დილამ“ უკანმოუხედავად შეუტია. თამაშში კარგად ჩაერთო ახლადშემოსული ჯალაბაძეც, მაგრამ შეტყოჯერ გამოცდილება აკლია, თორემ რევაზიშვილის მიერ 68-ე წუთზე ჩამოწოდებულს კარში მიუჩინა ადგილს. მცველმა ბალაშვილმაც ბოლნისელთა კარისაკენ იწია, მაგრამ „ე ოხერი გოლი“ მაინც არ გადიოდა. ვერც თარხნიშვილმა დაარტყა ჩვეულად ორი ხელსაყრელი ჯარიმა. დრო კი იწურებოდა და იგრძნობოდა, გორელი მაყურებელი, ერთიორი გამოუსწორებელი ოპტიმისტის გარდა, ფრეს შეეგუა. მაგრამ დადგა 87-ე წუთი და ლომიძემ, ბოლოსდაბოლოს, გორელები ახეირა. არადა, სულაც არ იყო სტუმართათვის სახიფათო და მასპინძელთათვის ხელსაყრელი ვითარება: „სიონის“ კართან საკმაოდ მოშორებით ჯარიმა დაინიშნა, თარხნიშვილმა საჯარიმოში ჩააწოდა, კარისკენ ზურგით მდგარი ლომიძე ყველაზე მაღლა ახტა, ბურთს თავი ბრუნში უცნაურად დაჰკრა და იგიც უცნაურივე ტრაექტორიით მარცხენა ცხრიანში გაეხვა. გოლმა, ცხადი იყო, მასპინძლებს გაამარჯვებინა, რადგან ქანცგაწყვეტილი „სიონი“ ორიოდ წუთში საპასუხო გოლის გატანას რაღას შეძლებდა.


გიორგი რევაზიშვილი (№11) მეტად აქტიურობდა

პირველ თამაშში ძნელმა გამარჯვებამ გორელები, ცხადია, ძალიან გაახარა. სტუმრების გულისწყვეტის მიზეზი კი უფრო ის იყო, რომ ბოლო წუთებში დაჰკარგეს ქულა. ამის მიუხედავად, ბოლნისელებმა ვაჟკაცურად მიულოცეს მასპინძლებს გამარჯვება. საბოლოოდ კი ერთს ვიტყოდით: თამაშს დაძაბულობა და ბრძოლა არ აკლდა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ტემპი ვერ იყო ისეთი, დღევანდელ ფეხბურთს რომ სჩვევია. როცა ამის მიზეზი ნიკა ამირეჯიბს და ნოდარ ხიზანიშვილს ვკითხეთ, ორივემ ერთი გვიპასუხა: მეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, სულ ორიოდ დღეა მზადებას შევუდექითო.

მწვრთნელთა კომენტარი:

**ნიკა ამირეჯიბი:** ძნელი თამაში იყო, „სიონი“ სულაც არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი, რამდენიმე ჩინებული მოთამაშე ჰყავს. გაბისონიაზე ვთქვათ: ასეთი თავდამსხმელი ბევრმა გუნდმა ინატროს. ჩვენმა ახალგაზრდობამ კი, ასე ვიტყოდი, ბევრი იომა. მხოლოდ ცამეტი დღეა რაც ვვარჯიშობთ. თავდასხმაში გვიჭირს. მარღიშვილი და ხორგუაშვილი ძალიან მოგვაკლდნენ, მაგრამ გორში ნიჭიერი ბავშვები იზრდებიან და, ვფიქრობ, სამომავლოდ პრობლემაც მოგვარდება. დამიჯერეთ, „სიონი“ კიდევ ბევრს გააოცებს. დღეს მათ მეორე ტაიმი დაგვითმეს. „დილადან“ ვერავის გამოვყოფ, ყველამ თავდადებით ითამაშა.

**ნოდარ ხიზანიშვილი:** პირველ რიგში „დილას“ ვულოცავ გამარჯვებას, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ წაგებას არ ვიმსახურებდით. საერთოდ გორში თამაში ყველას უჭირს. ცოტა დრო კი გვქონდა მოსამზადებლად, მაგრამ „სიონი“ ახლა სხვა გუნდია, ტაქტიკური მონახაზები გამოიკვეთა, ეგაა შეთამაშება გვაკლია, რადგან გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავს. ამიტომაც იყო, რომ მეორე ტაიმში „დილამ“ გვაჯობა. კი ვიცით, თამაში 90 წუთი რომ გრძელდება, მაგრამ ჯერ თავს ზემოთ ძალა არ არის, მერე კი ვნახოთ...

**მამუკა ქვანტალიანი**
**გორიდან**

**განცხადება**

ვაგროვებ საფეხბურთო პროგრამებს თბილისის „დინამოს“ მატჩებიდან. მესაჭიროება ევროთასებზე თბილისის „დინამოს“ პროგრამები: „ტვენტესთან“ (1971), „სლავიასთან“, ოფკ-სთან, „ტოტენჰემთან“ (1972), „კარდიფ სიტისთან“, მტკ-სთან (1976), „ინტერთან“ (1977), „ჰერტასთან“ (1978), „ჰამბურგთან“ (1979) და „უოტერფორდთან“ (1980). აგრეთვე მჭირდება „დინამოს“ პროგრამები სსრკ ჩემპიონატზე 1936-1970 წლებში. შესაძლებელია გაცვლა.

მისამართი: გლდანის მასივი. I მ-რ, 8 კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 31. ზაურ კიურჯიევი
ტელ: 67-09-31

რედაქციისგან:
„სარბიელი“ უფასოდ გამოაქვეყნებს საფეხბურთო და საერთოდ სპორტული ატრიბუტიკის კოლექციონერთა განცხადებებს.

# ერთხელ ჩვენც გავიცინოთ

**სამტრედია 1:2 გურია**

**სამტრედია:** სტურუა, ნოდია, პ. ლურსმანაშვილი, მჭედლიშვილი, ხახიშვილი, ანჯაფარიძე, შ. ჩომახიძე, დარსაძე, გვასალია, ფანჩულიძე, ივეჩიანი (რ. ცომაია 78)
**გურია:** ვოლკოვი, ლურწკაია, ცერცვაძე, კოროტკოვი, ბუცურეიშვილი, ყოლბაია, ქიქავა, განევი (კუკულაძე 78, გვარჯალაძე 87), ო. კორღალიძე, დ. გოდერძიშვილი, ბერიძე (ფაცურია 83)
0:1 გოდერძიშვილი (17), 1:1 ფანჩულიძე (21), 1:2 გოდერძიშვილი (31)
გაფრთხილება: ლურსმანაშვილი
მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

როგორც ყველა ჩვენი ფეხბურთის ჭირისუფალი, მეც მოუთმენლად ველოდი ჩემპიონატის დაწყებას. ძალიან მაინტერესებდა ორივე გუნდის სვე-ბედი. მატჩის დაწყებას თხუთმეტი წუთი აკლდა, თბილისელი მსაჯები რომ გამოჩნდნენ. არადა, უკვე გადაწყვეტილი იყო, სათადარიგოს, დროულად ჩამოსწრებულ გორელ ილო ნოზაძეს უნდა ემსაჯა. შეხვედრის დაწყების წინ ყველაფერი წესისამებრ მოეწყო, გუნდების კაპიტანმა ოთარ კორღალიძემ და გელა ფანჩულიძემ ალამი აღმართეს, ეგ იყო, უპირობოდ დავრჩით — სტადიონზე ელექტროენერგია არ იყო.

იმ დღეს ვერ ითამაშა სამტრედიელთა ძირითადმა მეკარემ ჭანტურიამ, რომელსაც მამა გარდაცვლოდა. „გურიამ“ მატჩი სწრაფ ტემპში კი დაიწყო, მაგრამ სახიფათო მომენტი არცერთ კართან არ შექმნილა, ბურთი უფრო მოედნის ცენტრში ტრიალებდა. თუმცა პირველ გოლს დიდხანს არ გვალოდინეს: მე-16 წუთზე ფანჩულიძე ზედმეტად გაერთო ბურთის ტარებით, თავის საჯარიმოსთან დაჰკარგა კიდეც. ბურთი კორღალიძეს მიუვიდა, ამან მეკარესთან უმეთვალყუროდ დარჩენილი გოდერძიშვილი მონახა და მანაც არ დაახანა გატანა. ოთხიოდ წუთში სამტრედიელებმა ანგარიში გაათანაბრეს: მასპინძელთა მარჯვენა მცველის ნოდიას შორიდან ჩაწოდებულს ფანჩულიძემ საჯარიმოში თავი დაახვედრა და საკმაოდ ლამაზადაც შეაგდო. გელამ ამ გოლით ორმაგად გაიხარა — ანგარიში გაათანაბრა და შეცდომაც გაასწორა. ამის შემდეგ შეტევები ორმხრივი კი იყო, ოღონდ სამტრედიელებს უფრო დაეტყოთ გამოცოცხლება, თუმცა უშედეგოდ. 32-ე წუთზე სამტრედიელთა საჯარიმოში შეჭრილმა ლაშა ყოლბაიამ კარგად მიაწოდა გოდერძიშვილს და დათომაც დაარტყა მართალია, არც ისე ძლიერად, მაგრამ მეკარე მაინც უძლური აღმოჩნდა (ამ დროს მაყურებელმა აღშფოთებასთან ერთად სიბრალულის გრძნობაც გამოხატა მეკარის მიმართ). 35-ე წუთზე სამტრედიელებმა აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. ივეჩიანი პირისპირ იმყოფებოდა მეკარესთან (მანამდე აშკარა თამაშგარეშე იყო. გვერდითმა მსაჯმა კი რატომღაც გაატარა), მაგრამ დარტყმა დააყოვნა და ბურთიც დაკარგა. ამის მერე არაფერი მომხდარა საინტერესო და დასამახსოვრებელი გარდა ერთისა: მასპინძელთა მერვე ნომერმა შოთა დარსაძემ, ლანდივით რომ დასდევდა ოთარ კორღალიძეს და არც უხეშობას აკლებდა და გამომწვევადაც ექცეოდა, მაყურებლის (ობიექტურის) შენიშვნაც დაიმსახურა.

მეორე ტაიმი უფრო უინტერესო და ნელი იყო. მიზეზი ის გახლდათ, რომ ორივე გუნდს დაღლა დაეტყო. აკი ძლივს მოახეოხეს თითო-ორიოლა საგოლე მომენტის შექმნა. 53-ე წუთზე სამტრედიელთა კარი ძელმა იხსნა, მერე ბერიძემ კი დაამატა, მაგრამ მცირე მანძილით ააცილა. 75-ზე ისევ მას ჰქონდა გოლის გატანის შანსი — კორღალიძემ მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ბერიძემ სტურუას ვეღარ აჯობა. ოთხიოდ წუთში რობერტ ცომაია გაიყვანეს თანაგუნდელებმა კარგ პოზიციაზე, მან კი ბურთს ფეხი ააცილა და ყველაფერი „მშვიდობიანად“ დაამთავრა.

მატჩის შემდეგ „გურიის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელს გამარჯვება რომ მიულოცეს, ხუმრობით უპასუხა — ძმა, სამი წელიწადია ატირებულს მიშვებთ და ერთხელ მაინც გავიცინოო.

მწვრთნელთა კომენტარი:

**კახა ელაშვილი:** რა უნდა ვთქვა, სათქმელი არაფერი მაქვს. მსაჯობაზე საყვედურს ვერ ვიტყვი, დამსახურებულად წავაგეთ.

**გიგლა იმნაძე:** ასეთ შედეგს არ ველოდით. არ გვეგონა, თუ გავიმარჯვებდით. თუმცა, არც იმისთვის ჩამოვსულვართ, რომ მატჩი დაგვეთმო. თამაშმაც გვიჩვენა, რომ მეტოქეს ვჯობდით. მოკლედ, დღევანდელი მატჩის კმაყოფილი ვარ.

**სოსო ბარძაია**
**სამტრედიიდან**


გოდერძიშვილმა მეტოქე დაამშობათ

## ჩიქოვანი გერმანიიდან ტრავმით დაბრუნდა

ბათუმის „დინამოდან“ წამოსულმა გოჩა ჩიქოვანმა კარიერის დასრულება განიზრახა გერმანიის რეგიონალური ლიგის „ჰომბურგში“, სადაც მეკარე ნიკა ჩხეიძეც გამოდის. მაგრამ ბედმა უმუხთლა, პირველივე ვარჯიშზე სერიოზულად დაშავდა და ფეხის ტრავმის გამო ორი თვე იძულებით შესვენება და საქართველოში დაბრუნება მოუწევს.

**ბათუმი 1:0 ოდიში**

**ბათუმი:** ტოგონიძე, სიჭინავა, მინდაძე, ფუტკარაძე (ქიქველიშვილი 68), შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ლლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი (ტრაპაიძე 84)
**ოდიში:** აბუსერიძე, კვიტატიანი, გუჩუა, ჰედია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი (აფაქიძე 62), ჯიქია (კუტალია 55), წიტაიშვილი, ფანცულაია (კვარაცხელია 46), კალანდაძე
1:0 მუჯირი (42)
გაფრთხილება: ტულუში
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**მარგვეთი 3:0 მერანი**

**მარგვეთი:** გვენცაძე (ბოჭორიშვილი 46), მოლლყელიძე, გურიელიძე, გაბრიჭიძე (გეწაძე 46), ლონლაძე, კაციაშვილი, უკლება, სულაკაძე (ლანჩავა 63), ჯ. წიკლაური, მარლიშვილი, ქებაძე
**მერანი:** დოლიძე, ივანიშვილი, არჩვაძე, გოგიბერიშვილი, ბახტაძე (კენჭიაშვილი 59), ქორიძე, კვარაცხელია, დანელია, ჰოლოყავა, მაზიაშვილი (თ. ჯოშკარიანი 41), ტარიელაშვილი (დავითაშვილი 79)
გაფრთხილება: გაბრიჭიძე, დანელია, ჰოლოყავა
1:0 წიკლაური (13), 2:0 ქებაძე (74), 3:0 მარლიშვილი (76 პ)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**კოლხეთი 4:0 კახეთი**

**კოლხეთი:** გოგუა, ქუნთელია, მ. ქობულაძე, შ. ხუჯაძე, თიბილაშვილი, ლანიძე (ტორჩინავა 46), ბ. ამბიძე, გახოკიძე, სოლოლაშვილი (ინიაშვილი 77), ყულეჯიშვილი (ბულუხია 73), გიორგაძე
**კახეთი:** ბეწუკელი, ჰაჰუა, ტარულაშვილი, კ. წიკლაური, ა. ბოჭორიშვილი, შალამბერიძე, ათუაშვილი (კობაიძე 32), მამისაშვილი, შონია, ნონიკაშვილი, ლვინიაშვილი
გაფრთხილება: ჰაჰუა, თიბილაშვილი
1:0, 3:0 ყულეჯაშვილი (4, 61), 2:0 ამბიძე, 4:0 ხუჯაძე (78)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ბომბარდირები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გოდერძიშვილი | „გურია“ | 2 | (-) | 1 |
| კობიაშვილი | „დინამო“ | 2 | (-) | 1 |
| მ. მეგრელაძე | „ტორპედო“ | 2 | (-) | 1 |
| ხომერიკი | „დინამო“ | 2 | (-) | 1 |
| ა. ჯელაძე | „გორდა“ | 2 | (-) | 1 |
| ინალიშვილი | „დინამო“ | 2 | (1) | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარეა "CROCO"

### რუსეთის ჩემპიონატი. გადმოტანილი მატჩები

3 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ქემჩუჟინა — კამაზი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ტექსტილშჩიკი — როტორი | 5,0 | 3,2 | 1,2 |
| ცსკა — ურალმაში | 1,1 | 3,2 | 8,0 |

### გერმანიის მეორე ლიგა. პირველი ტური

3 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ცვიკაუ — მანჰაიმი | 1,5 | 2,9 | 3,6 |
| ლუბეკი — აინტრახტი | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ოლდენბურგი — მეპენი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| კაიზერსლაუტერნი — უნტერჰაჰინგი | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| როტვაისი — შტუტგარტერ კიკერსი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| გიუტერშლოჰი — კარლ ცაისი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| ლაიფციგი — ურდინგენი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ჰერტა — მაინცი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ფორტუნა (კიოლნი)— ვოლფსბურგი | 1,3 | 3,0 | 5,0 |

### ოლიმპიადა. ფეხბურთი. ფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არგენტინა — ნიგერია | 1,7 | 2,9 | 2,8 |

### უეფას თასის შესარჩევი წრე. პირველი მატჩები

6 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კოშიცე (სლოვაკეთი) — სელტიკი (შოტლანდია) | (2,5-1,35) | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ლეგია (პოლონეთი) — ჰაკა (ფინეთი) | (1,05-7,5) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| რაპიდი (რუმინეთი) — ლოკომოტივი (ბულგარეთი) | (1,6-1,8) | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| შლემა (მალტა) — ოდენსე (დანია) | (7,5-1,05) | 3,8 | 2,8 | 1,5 |
| ირაკლისი (საბერძნეთი) — აპოელი (კვიპროსი) | (1,15-4,0) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| კროაცია (ხორვატია) — სპარტაკი (რუსეთი) | (1,7-1,7) | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| პარტიზანი (იუგოსლავია) — ნაციონალი (რუმინეთი) | (1,35-2,5) | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ლუნგბიუ (დანია) — მურა (სლოვენია) | (1,35-2,5) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ჰალმშტადი (შვედეთი) — ვარდარი (მაკედონია) | (1,35-2,5) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| დინამო (მოსკოვი, რუსეთი) — იაცი (ფინეთი) | (1,05-7,5) | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ჟალგირისი (ლიტვა) — აბერდინი (შოტლანდია) | (3,1-1,25) | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ვასუტასი (უნგრეთი) — ბერი თაუნი (უელსი) | (1,1-5,0) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ჰელსინბორგი (შვედეთი) — დინამო 93 (ბელარუსი) | (1,55-1,9) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ჰაიდუკი (ხორვატია) — ტორპედო (რუსეთი) | (1,6-1,8) | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| არაუ (შვეიცარია) — ლანტანა (ესტონეთი) | (—-10,0) | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ბეშიქთაში (თურქეთი) | (2,0-1,5) | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ჰიკი (ფინეთი) — ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა) | (2,8-1,3) | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| გრაცი (ავსტრია) — ვოივოდინა (იუგოსლავია) | (1,55-1,9) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ქსამაქსი (შვეიცარია) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (1,15-4,0) | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| სიგმა (ჩეხეთი) — ჰუტნიკი (პოლონეთი) | (1,5-2,0) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| აკრანესი (ისლანდია) — ცსკა (რუსეთი) | (7,5-1,05) | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ტიროლი (ავსტრია) — სლავია (ბულგარეთი) | (1,5-2,0) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| სლოვანი (სლოვაკეთი) — ტრაბზონსპორი (თურქეთი) | (2,0-1,5) | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| სკონტო (ლატვია) — მალმიო (შვედეთი) | (5,0-1,1) | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| ბეითარი (ისრაელი) — ბოდო გლიმტი (ნორვეგია) | (1,7-1,7) | 1,4 | 3,0 | 4,0 |

### ჩემპიონთა თასის წინასწარი წრე. პირველი თამაშები

7 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) | (2,3-1,4) | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| რეინჯერსი (შოტლანდია) — ალანია (რუსეთი) | (1,7-1,7) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია) | (1,2-3,5) | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| გიოტებორგი (შვედეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | (1,3-2,8) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ვიძევი (პოლონეთი) — ბრონდბიუ (დანია) | (1,7-1,7) | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| გრასჰოპერი (შვეიცარია) — სლავია (ჩეხეთი) | (1,6-1,8) | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ბრიუგე (ბელგია) — სტიაუა (რუმინეთი) | (1,6-1,8) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| რაპიდი (ავსტრია) — დინამო (კიევი, უკრაინა) | (1,5-2,0) | 1,3 | 3,0 | 5,0 |

### თასების თასის შესარჩევი წრე. პირველი თამაშები

8 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ოლიმპია (სლოვენია) — ლევსკი (ბულგარეთი) | (2,8-1,3) | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ჰართსი (შოტლანდია) | (1,3-2,8) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ყარაბაღი (აზერბაიჯანი) — მიუპა (ფინეთი) | (5,0-1,1) | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| კოტაიკი (სომხეთი) — აეკი (საბერძნეთი) | (10,0-—) | 4,4 | 3,0 | 1,35 |
| ლა ვალეტა (მალტა) — გლორია (რუმინეთი) | (7,5-1,05) | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| ფრანი (ნორვეგია) — შელბურნი (ირლანდია) | (1,6-1,8) | 1,5 | 2,9 | 3,6 |
| გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — სპარტა (ჩეხეთი) | (7,5-1,05) | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| ჰემლონი (სლოვაკეთი) — ფლამურტარი (ალბანეთი) | (1,15-4,0) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| მრკს (ბელარუსი) — რეიკიავიკი (ისლანდია) | (1,5-2,0) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ვარტექსი (ხორვატია) — უნიონი (ლუქსემბურგი) | (1,05-7,5) | 1,1 | 3,2 | 8,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

*ყურადღება!*

*მომავალ კვირას „კროკო“ იმუშავებს ხუთშაბათსაც*

## CROCO-2

### ტირაჟი №48

### რუსეთი. ოლიმპიადა და გერმანია

1. ჟემჩუჟინა — კამაზი
2. ტექსტილშჩიკი — როტორი
3. არგენტინა — ნიგერია
4. ცვიკაუ — მანჰაიმი
5. ლუბეკი — აინტრახტი
6. ოლდენბურგი — მეპენი
7. როტ-ვაისი — კიკერსი
8. ლაიფციგი — ურდინგენი

ყურადღება!

წინა ნომერში გამოქვეყნებული 48-ე ტირაჟის განრიგში ცვლილებაა: მესამე ნომრად რუსეთის ჩემპიონატის გადატანილი მატჩის მაგივრად შეტანილია ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის ფინალი

### ტირაჟი №49

### უეფას თასი

1. კოშიცე — სელტიკი
2. კროაცია — სპარტაკი
3. დინამო (თბილისი) — მიოლდე
4. ჟალგირისი — აბერდინი
5. ჰაიდუკი — ტორპედო
6. დინამო (მინსკი) — ბეშიქთაში
7. ჰიკი — ჩერნომორეცი
8. სლოვანი — ტრაბზონსპორი

### ტირაჟი №50

### ჩემპიონთა თასი

1. მაკაბი — ფენერბაჰჩე
2. რეინჯერსი — ალანია
3. პანათინაიკოსი — რუსენბორგი
4. გიოტებორგი — ფერენცვაროში
5. ვიძევი — ბრონდბიუ
6. გრასჰოპერი — სლავია
7. ბრიუგე — სტიაუა
8. რაპიდი — დინამო (კიევი)

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფურთხება უზრდელობაა

ბაქოს „ნეფთჩის“ მწვრთნელი და ორი მოთამაშე უეფამ დასაჯა. უეფას თასზე სოფიის „ლოკომოტივთან“ პირველ შეხვედრაში, აიდინ ალეკბეროვმა ბულგარელ ფეხბურთელს შეაფურთხა. ამისთვის იგი ხუთი თამაშით მოაკლდება გუნდს. საპასუხო მატჩში, 24 ივლისს კი რაზიმ აბუსევმა გამოსტყუა არბიტრს წითელი ბარათი. არც მწვრთნელმა ასიფ ალიევმა დააკლო — მსაჯს აგინა. აბუსევს ოთხი, ალიევს კი ორი თამაშით მისცეს დისკვალიფიკაცია.

## ანტონი თემურთან

ბუქარესტის „სტიაუასა“ და რუმინეთის ნაკრების მცველი ანტონ დობოში ათენის აეკ-ში გადავიდა და აწი ჩვენი თემურ ქეცბაიას მხარდამხარ ითამაშებს.

— დობოში არაფრითაა შეზღუდული. მას შეუძლია აეკის შემადგენლობაში თასების თასზეც ითამაშოს — თქვა „სტიაუას“ დირექტორმა მარკეტინგის დარგში კონსტანტინ მატეიმ. რაც შეეხება სატრანსფერო თანხას, ამის შესახებ არაფერი თქმულა.

## მეტი ფული იშოვნა

რუმინელმა ვარსკვლავმა, 31 წლის გეორგ ჰაჯიმ ახალი კლუბი მოიძია. ეს ახალი კლუბი სტამბოლის „გალათასარაი“ გახლავთ, სადაც იგი სამ სეზონს გაატარებს.

— ჰაჯიმ მეტად მომგებიან კონტრაქტს მოაწერა ხელი — უთხრა „რეიტერს“ ტელეფონით ფეხბურთელის აგენტმა იოან ბეკალიმ. აგენტს ფულის შესახებ კონკრეტულად არაფერი განუცხადებია. სამაგიეროდ, ციფრები თურქულმა პრესამ არ დამალა. სტამბოლის გაზეთების ცნობით, მოთამაშე „გალათასარაისგან“ წელიწადში 1,3 მილიონ დოლარს მიიღებს.

გეორგ ჰაჯი, რომელმაც თავისი ქვეყნის ნაკრებში 100 თამაში ჩაატარა, ბოლო კვირამდე „ბარსელონას“ წევრი იყო, სადაც წლიურად 800 ათას დოლარს უხდიდნენ.

## ჯანყი იტალიაში

იტალიის საფეხბურთო ლიგამ სერია A-ს 34 კვირიანი ჩემპიონატიდან, მხოლოდ ათი კვირის კალენდარი გამოაქვეყნა. საქმე ის ყოფილა, რომ კლუბებსა და ქვეყნის მთავრობას შორის მორიგი გაუგებრობაა. კლუბები გაგებით შეხვდნენ ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვის კანონებში ბოსმანურ ცვლილებებს, სამაგიეროდ გადასახადთა შემცირებას და სხვა ამგვარ შეღავათებს ითხოვენ. ლიგამ განაცხადა, დანარჩენ კალენდარს მაშინ გამოვამჟღავნებთ, მთავრობა კლუბების მოთხოვნათა განხილვას მაინც რომ დაიწყებსო.

გამოქვეყნებული ნაწილიდან კი გაირკვა, რომ ჩემპიონი „მილანი“ პირველ მატჩს 8 სექტემბერს, შინ, ლიგაში ახალგადასულ „ვერონასთან“ გამართავს. ჩემპიონთა თასის მფლობელი ტურინის „იუვენტუსი“ კი ასევე ახალაღზევებულ „რეჯანასთან“ ითამაშებს სტუმრად.

## არტური დაასაქმეს

დიდულვაშა არტურ ჟორჟე კვლავ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელია.

— ხელმძღვანელთა სხდომაზე ჟორჟე, ორი წლით, ერთხმად დაასახელეს ამ თანამდებობაზე — თქვა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დანიელ დო ადრომ.

წინა „სარბიელში“ ვწერდით. რომ ჟორჟე შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელობიდან განთავისუფლეს. გეხსომებათ, 50 წლის სპეციალისტს იქ, შვეიცარიაში 1998-მდე უნდა ემუშავა, მაგრამ ფეხბურთელებთან და ფედერაციის ჩინოვნიკებთან საერთო ენა ვერ გამონახა და დეკემბერში მისული, ივლისში უკან გაბრუნდა.

პორტუგალიის ნაკრებს კი ჟორჟე ადრე, სამი წლის განმავლობაში ედგა სათავეში, 1992 წლის ევროპის პირველობამდე, სადაც, ფინალურ ეტაპზე გუნდი ვერ გაიყვანა.

ჟორჟემ თანამდებობაზე შეცვალა ანტონიო ოლივეირა, რომელსაც ახლა, ევროპის ჩემპიონატზე ჰყავდა გუნდი ჩაყვანილი, მის მერე კი „პორტუს“ მწვრთნელად დადგა.

## ყველანი ბორდოში

„ბორდო“ ყიდულობს და ყიდულობს ახალ ფეხბურთელებს. სახელგანთქმულმა ფრანგმა თავდამსხმელმა ჟან-პიერ პაპენმაც განაცხადა, რომ მიუნხენის „ბაიერნს“ სტოვებს და „ბორდოს“ უერთდება. — გარიგება შედგა. ერთადერთი ხელის მოწერაღა დარჩა — უთხრა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს ხანამ საფრანგეთს გაემგზავრებოდა, ხუთშაბათს კი უკვე „ბორდოში“ ივარჯიშა.

32 წლის ფორვარდის ორწლიანი ხელშეკრულება ფრანგულ კლუბს მილიონი მარკა დაუჯდა, რაც 681 300 დოლარია.

— „ბაიერნში“ მწვრთნელ ოტო რეჰაგელთან ცუდი წელიწადი გავატარე. ის არ მენდობოდა — მოიგონა პაპენმა გასული სეზონი.

## ვარსკვლავთ ინტერნაციონალი

მილანში „ჯუზეპე მეაცას“ სტადიონზე ამხანაგურ შეხვედრაში „ინტერმა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უმასპინძლა. სტუმრებს ახალაყვანილი კარელ პობორესკი და ჯორდი კრუიფი არ გაუყვანიათ, არც რაიან გიგზი იყო. თამაშობდა ერიკ კანტონა, ძმებმა ნევილებმა კი მეორე ტაიმში ერთმანეთი შეცვალეს — ფილი გარის მაგივრად შევიდა. მასპინძელთა შემადგენლობა კი განახლებული და გაძლიერებული იყო. როი ჰოჯსონს მოედანზე ჰყავდა ანგლომა, ვინტერი, ინსი, ჯორკაეფი და ზამორანო. ანგარიში 44-ე წუთზე კარბონემ გახსნა. მეორე ტაიმში კი ინგლისელთა დაცვამ იდედლა. 54-ე და 64-ე წუთებზე ბრანკამ პირველი ტაიმის მონაგარს ორიც მიამატა. ოფსაიდის გამო ეფექტური გოლი არ ჩაუთვალეს იური ჯორკაეფს. საბოლოოდ მასპინძლებმა 3:0 იძალეს.

## მოიცა, პატრიკ

დორტმუნდის „ბორუსიასთან“ დიდი ვაჭრობის შემდეგ „ლივერპულმა“, როგორც იქნა, მიაღწია თავისას და პატრიკ ბერგერი შეიძინა. 23 წლის ჩეხი ფეხბურთელი ინგლისურ გუნდს 3,25 მილიონი გირვანქა (5,06 მილიონი დოლარი) დაუჯდა. ბერგერმა სამედიცინო ტესტი გაიარა, მაგრამ ახლა ინგლისში მუშაობის უფლების მისაღებად ორკვირიანი ცდა სჭირდება.

„ლივერპულის“ მწვრთნელმა როი ევანსმა თქვა: — მან სამედიცინო ტესტი კი გაიარა, მაგრამ დღეს ისეთი ტესტებიცაა, პასუხს ცდა რომ სჭირდება. რაც შეეხება მუშაობის უფლებას, აქ ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ, ლოდინის გარდა. მას ინგლისში ყოფნის ერთადერთი საშუალება აქვს — ტურისტობა. ვარჯიშითაც კი ვერ ივარჯიშებს, მაგრამ მე ახლავე ძლიერ კმაყოფილი ვარ, რადგან ფეხბურთელი ჩემი გემოვნებით შევარჩიე.

## ჯორდის პირველი

ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი ჯორდი კრუიფი დღეს „მანჩესტერ იუნაიტედში“ სადებიუტო მატჩს ითამაშებს. „უმბროს“ ოთხგუნდიან თასზე მანჩესტერელები „აიაქსს“ ხვდებიან. შეგახსენებთ, რომ კრუიფი ინგლისის ჩემპიონმა 1,2 მილიონ გირვანქად ახლახანს „ბარსელონისგან“ იყიდა. გუშინწინ ჯორდიმ ახალ გუნდთან პირველად ივარჯიშა. „იუნაიტედის“ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს იმედი აქვს, რომ დღეს საღამოსთვის ფორმაში იქნებიან ენდი კოული და რაიან გიგზიც, რომელთაც ტრავმები აწუხებდათ.

რაც შეეხება ოთხთა ტურნირს, ნოტინგემში რომ გაიმართება, მეორე წყვილს „ნოტინგემ ფორესტი“ და „ჩელსი“ შეადგენენ. ხვალ ტურნირის ფინალია.

## ცანკო კუნძულზე

ბულგარეთის ნაკრების მცველი ცანკო ცვეტანოვი გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „ვალდჰოფ მანჰაიმიდან“ 933 800 დოლარად შოტლანდიის პრემიერლიგის „აბერდინში“ გადავიდა. ცვეტანოვი „აბერდინში“ თანამემამულესა და ნაკრებში თანაგუნდელ ილიან კირიაკოვს შეუერთდება.

## ინტერტოტოზე

გაიმართა საპასუხო მატჩები: როტორი — ლინცერი 5:0 (პირველი მატჩი 2:2), გინგამი — კამაზი 4:0 (0:2), ნანტი — სტანდარდი 0:1 (1:2), კარლსრუე — ლიერსი 2:0 (3:2), სილკებორგი — ურალმაში 0:1 (2:1), ერებრუ — სეგესტა 4:1 (0:4)

შემდეგ ეტაპზე გუნდები ასე დაწყვილდნენ: სტანდარდი — კარლსრუე, როტორი — გინგამი, სეგესტა — სილკებორგი. ეს თამაშები, უეფას თასის დანარჩენი მატჩების დღეებში, 6 და 20 აგვისტოს გაიმართება.

### რუსეთი

მე-20 ტური: სპარტაკი — ბალტიკა 0:0, დინამო — ჟემჩუჟინა 2:1, ლადა — ცსკა 0:2, ნოვგოროდი — ლოკომოტივი 0:0, კრილია — ჩერნომორეცი 1:0, ტორპედო — ზენიტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 21 | 14 | 4 | 3 | 40:20 | 46 |
| სპარტაკი | 21 | 12 | 6 | 3 | 38:16 | 42 |
| დინამო | 21 | 11 | 7 | 3 | 33:17 | 40 |
| როტორი | 18 | 11 | 5 | 2 | 29:12 | 38 |
| ცსკა | 20 | 11 | 5 | 4 | 30:18 | 38 |
| ტორპედო | 21 | 8 | 7 | 6 | 26:25 | 31 |
| ნოვგოროდი | 20 | 9 | 3 | 8 | 19:26 | 30 |
| ლოკომოტივი | 20 | 7 | 8 | 5 | 21:15 | 29 |
| ზენიტი | 20 | 8 | 4 | 8 | 21:20 | 28 |
| ბალტიკა | 20 | 6 | 8 | 6 | 23:21 | 26 |
| კრილია | 20 | 6 | 7 | 7 | 14:20 | 25 |
| როსტსელმაში | 19 | 6 | 6 | 7 | 36:31 | 24 |
| ჩერნომორეცი | 21 | 5 | 5 | 11 | 20:30 | 20 |
| ჟემჩუჟინა | 20 | 5 | 4 | 11 | 18:34 | 19 |
| კამაზი | 19 | 4 | 3 | 12 | 18:33 | 15 |
| ლადა | 19 | 3 | 5 | 11 | 9:28 | 14 |
| ურალმაში | 18 | 2 | 5 | 11 | 16:33 | 11 |
| ტექსტილშჩიკი | 20 | 1 | 8 | 11 | 10:22 | 11 |

# კაცი, რომელიც პენალტებს იგერიებს

**GEORGIA vs ENGLAND**
**თბილისი. 9 ნოემბერი**

ინგლისელთა აზრით, ევროპის ჩემპიონატის სამი კვირის განმავლობაში მათმა ნაკრებმა ჩინებული სულისკვეთება გამოავლინა და ერს თავისსავე მოგონილ თამაშში შელახული თავმოყვარეობა აღუდგინა. ამ საქმის თავი ტერი ვენეიბლზი იყო. ამის შესახებ თავის სტატიაში წერს „თაიმზის“ კორესპონდენტი რობერტ კრემპტონი.

იგი 53 წლისაა. მშრომელთა კლასის ტიპიური წარმომადგენელია. რესპექტაბელურია, დაფასებული და ძალიან უყვარს, ყურადღებას რომ აქცევენ. უხარია, ამაგს რომ უფასებენ. დედამისი წარმომავლობით უელსელ სამთო მრეწველთა ოჯახიდანაა გამოსული. მან შვილი პატრიოტ, კეთილსინდისიერ და ერთგულ ადამიანად აღზარდა. ვენეიბლზი უფრო 50-იანი წლების ისექსელია (საგრაფოა ინგლისში), ვიდრე თანამედროვე ინგლისელი. მისი იდეები ვინმეს შეცდომისთვის კოლექტიური პასუხისმგებლობის შესახებ აშკარად 40 წლის წინანდელ დეგენჰემში იღებს სათავეს. ტერი თავის ბიჭებს ენდობა და ბიჭებიც ამითვე პასუხობენ. ის ცნობილია, როგორც გვერდში მდგომი კაცი, ზუსტად ისე, როგორც მეორე დეგენჰემელი სერ ალფ რამსეი იყო 1966 წელს.

კითხეთ, რა უთხრა მან გარეთ საუთგეიტს იმ საშინელ საღამოს, ახალგაზრდა ფეხბურთელმა ნახევარფინალში პენალტი რომ ვერ გაიტანა, რაც ალბათ მთელი ცხოვრება ტრავმად გაჰყვება. „უბრალოდ ვცადე, მხოლოდ დახმარება ვცადე“ — პასუხობს ტერი. და მან საუთგეიტი გვერდიდან არ მოიშორა? „დიახ, საკმაო ხანს ვილაპარაკეთ, თუმცა გარჩევისთვის ძალიან ადრე იყო. იგივეა შოკის ან კონტუზიის დროს, ყოველგვარი ემოცია მკვდარია. დადგება დრო, როცა შოკი გაივლის და საუბარს შეძლებ. და სწორედ მაშინ არის თანადგომა ძლიერ მნიშვნელოვანი. ამას მისი კლუბის მწვრთნელი გააკეთებს“. მაშ იგი საუთგეიტს ჭკუის დარიგებას აღარ დაუწყებს? „არა. იმედი მაქვს, ბიჭებთან ერთად მეც მისი ერთ-ერთი ნუგეშისმცემელი ვიქნები, მაგრამ ცალკე დარიგება აწი ჩემი საქმე არ არის“.

აქ ტერის ხასიათის კიდევ ერთი ნიშანი ჩანს. ეს მისი ძველმოდური, მკაცრი შეხედულებაა მამაკაცობაზე. მან საუთგეიტს გაჭირვებისას ერთგვარი სითბო აგრძნობინა და ამით დაასრულა. ამიერიდან საუთგეიტმა, როგორც კაცმა, თავად უნდა მიხედოს თავს, ისე, როგორც ამას ტერი იზამდა.

ტერი ფეხბურთელობისას პენალტებს იგერიებდა და მეტაფორულად თუ ვიტყვით, ცხოვრებაშიც ასეთი კაცია. ამისთვის კაცებს იგი კაცურად უყვართ, განსაკუთრებით ფეხბურთელებს. მიუხედავად იმისა, რომ ჭკვიანია, საქმეში თანმიმდევრული, სტატიების წერისას ბრძენი, რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადექვატური და არა ჯიუტი, იგი ძველებური, ფუნდამენტალისტი მამაკაცია. ასეთია ოჯახშიც, მარტივი კაცური საწყისით — იგი ტკივილს უძლებს და ამისთვის პატივს სცემენ.

ევროპის ჩემპიონატის დღეებში ტერი ვენეიბლზი სამი კვირის განმავლობაში კაცური საფეხბურთო ცხოვრებით ცხოვრობდა. ბაკინგემშირის სასტუმროს მხოლოდ ვარჯიშებსა და თამაშებზე წასასვლელად სტოვებდა და ასეთი ყოფა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. **„ჩემს საფეხბურთო კარიერაში ასეთი დიდებული გამოცდილება არასდროს მიმიღია. საუცხოო იყო. გაცილებით სჯობდა იმ დროს, „ბარსელონას“ მწვრთნელი რომ ვიყავი, რადგან ეს აქ, ინგლისში ხდებოდა და ჩემს სამშობლოს ეხებოდა“.** როგორი გრძნობაა, ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პატივცემულ პიროვნებად აღიარება? ყოველთვის ასე ხომ არ იყო.

**„თითქოს რაღაც გაწუხებსო. ვიღაც თვითმარქვიებსაც ხომ ხვდებათ ხოლმე პატივი და მათნაირი გამოდიხარ“.**

ვენეიბლზი დილის რვის ნახევარზე იღვიძებდა, სვამდა ორ ჭიქა შავ ყავას ყოველგვარი საუზმის გარეშე და ხელად ფურცლებში რგავდა თავს. კვირაში შვიდი დღე, 9 საათზე, მწვრთნელთა ბრიგადის სხვა წევრები მასთან მიდიოდნენ. „ჩემი ოთახის გარეთ მეორე ოთახიც მქონდა, დიდი მაგიდით. ამ მაგიდაზე გავშლიდი დაფას და საათნახევარი ლურჯების და ყვითლების გარჩევა მიდიოდა. ჩვენ ლურჯები ვიყავით, მეტოქეები ყვითლები“.

ათის ნახევარზე ბრიფინგი პრესასთან, შემდეგ კი საწვრთნელი მეცადინეობა. „მეტის მოსწრება მსურდა, მაგრამ მხოლოდ ტაქტიკაზე მუშაობას ვასწრებდი“.

მას უყვარს თავისი ტაქტიკა, აწყობა იმ თამაშისა, რომელმაც ჩემპიონატის დღეებში ათიათასობით გულშემატკივარი მოხიბლა და ჩაითრია. აი, დაფა გაშლილია: ინგლისისა და შოტლანდიის თამაშზე ვსაუბრობთ: „ხედავთ, რა ფასი აქვთ ფართოდიაპაზონიან ფეხბურთელებს? ისინი სივრცეებს ქმნიან, სადაც სხვას შეუძლია .



შესვლა. ბურთი, თუ არ ვცდები, შერინგემისგან ანდერტონს მიხდის, ამ დროს გესკოინი შერბის იქ, საიდანაც მეტოქის მცველი ანდერტონის ასაყვანად უნდა გაიქცეს. აქ ანდერტონმა ბურთი რომ გააჩეროს, ყველაფერი დამთავრებულია. მაგრამ რა ხდება! ჩვენ ყველანი ვუყვირით, დაარტყი! მას არ ესმის და დარტყმის ნაცვლად გესკოინის მიმართულებით აწვდის. გესკოინი ხედავს, რომ ის ბიჭი, ჰენდრი გამორბის. ის ისე იქცევა, თითქოს ცაციით უნდა დაარტყას. ჰენდრი დარტყმის მოსაგერიებლად ემზადება, რითაც მდგომარეობას იფუჭებს. ახლა გესკოინს უკვე შეუძლია ბურთი მას თავზე გადაუგდოს. ასეც იქცევა და ხედავს, რომ ის პირდაპირ მის ფეხზე ეშვება. ვგონებ, იმ მომენტში იგი საუცხოოდ იყო კონცენტრირებული“.

ამ ეპიზოდში გესკოინმა მეტოქე ისე მოატყუა, როგორც ამას ჩოგბურთელები აკეთებენ.

„ზუსტად ასეა. ზუსტი და ეშმაკური კომბინაცია დიდი რამაა“. მაშ ხალხი რომ ამბობს, გესკოინს საფეხბურთო ჭკუა აქვსო, ამას გულისხმობენ?

„დიახ, გესკოინს აქვს ეგ თვისება. და კიდევ, სწრაფია. ყველაფერ ამას იგი დიდი სისწრაფით ასრულებს. ის არასდროს დგას, სულ მოძრაობაშია. უმაღლესი კლასია“.

ვენეიბლზს თავისი გაზაც უყვარს. აკი მის ქორწილსაც დაესწრო. „ქორწილზე ბევრი ვიცინე. ის საერთოდ ბევრს მაცინებს ხოლმე“.

დღის განრიგს დავუბრუნდეთ. დილის მეცადინეობის შემდეგ ვენეიბლზი ჟურნალისტებს ხვდებოდა. ეს ლანჩის დროს იყო. იგი არც საუზმობდა და არც ლანჩზე ჭამდა.

„გახდომა მინდოდა. დაახლოებით 15 კილო დავიკელი კიდეც. ადრე ას კილომდე ვიყავი. ძნელი დასაჯერებელია“.

მართლაც იგი პირველი ინგლისელი მწვრთნელია, რომელმაც ეს საშინელი საქმე ითავა და გადადგომის დროს უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ადრე, დანიშვნისას.

შუადღისას, 3 საათზე თავის ოთახში ადიოდა და ვიდეოს რთავდა. იგი უყურებდა ვარჯიშის ჩანაწერს და კიდევ მატჩებს. ამ დროს მარტოობა ერჩივნა.

„ეს ფიქრის ჟამი იყო. გონებით პრობლემებს მოვიცავდი ხოლმე. ასე გრძელდებოდა სადილამდე, ანუ რვის ნახევრამდე“.

იგი საღამოს რვის ნახევრამდე არაფერს ჭამდა. არ მოკლებოდა? კი, მაგრამ საქმიანობაში ერთვებოდა და დროც გადიოდა. დასაძინებლად ვენეიბლზი 11 საათზე წვებოდა. მანამდე კი, სადილის შემდეგ კვლავ ტაქტიკას უბრუნდებოდა. ასე გაიარა სამმა კვირამ. ამ ხნის მანძილზე მეუღლე ივეტი არ უნახავს. არც ურეკავდა? „კი, როგორ არა. მის სრულ იგნორირებას სულაც არ ვაპირებდი“.

ფეხბურთელები კი ვიდეოს უყურებდნენ, ბანქოს თამაშობდნენ ან ბილიარდს. მას საამისო დრო არ რჩებოდა?

„თავი დამანებეთ. ასეთი რამეებისთვის დრო არასდროს მაქვს“.

არც ჯგუფური წასვლა კინოში, როგორც ამას 1966 წელს ალფ რამსეი აკეთებდა?

„არა. ჩვენ დიდეკრანიანი ვიდეო გვედგა... როცა მწვრთნელი ხარ, არ ვცალია, არ გეკინოება. ვერ დავემსგავსებოდით მოცლილთა მოსეირნე ჯგუფს“.

მისი წარმატების საიდუმლო, გარდა ერთგულების უნარისა, გახლდათ ის, რომ ზუსტად იცის, როდის იმკაცროს და როდის იმმაკაცოს.

„ვფიქრობ, თუ ფეხბურთელებთან ძალიან შელაზღანდარდი, შენდამი პატივისცემის გრძნობას დაკარგავენ. თუ უკარება ხარ, ესეც არანაკლებ საშიშია. ისევეა, როგორც ოჯახში ან მეგობრებთან საუბრისას. მე სულაც არ ვარ განსაკუთრებული — თქვენი თავი წარმოიდგინეთ. მე არ ვკივივარ და არც ვყვირი, უბრალოდ ვამბობ, იმ სიტუაციაში მეტი პატივისცემის გამოხატვა გმართებდათმეთქი. ეს საკმარისია. თუ აბეზარი ცოლივით კივიხარ, აუცილებლად ზურგს შეგაქცევენ“.

„დიდი ხნის წინ, პერლი სტრიტზე, ექიმის მოსაცდელში, ერთი სტატია წავიკითხე. საქმე ვიეტნამში მომსახურე კაპიტანს ეხებოდა. მან თქვა, რომ მთავარი არის არა მკაცრად თქმა — ასე გააკეთე — არამედ ის, რომ მათ, ჯარისკაცებმა იციან, რომ ჩვენ ერთად ვომობთ. მან ეს შეძლო. ეს მხოლოდ „ჩვენ ამას შევძლებთ“-ს შეძახილი არ იყო, ეს იყო მეტი, ფოლადისებური რწმენა იმისა, რომ რაც საჭირო იყო, ყველაფერს გავაკეთებდით.“

ასე იყო ინგლისის ნაკრებიც, რომელსაც ვენეიბლზი ედგა სათავეში. ოღონდ, სრული გამარჯვებისთვის ჩემპიონატში კიდევ რამდენიმე დღით მონაწილეობა იყო საჭირო. ვენეიბლზს კარგად ესმოდა, რომ იმ ათ დღეში, შოტლანდიასთან მოგებიდან გერმანიასთან დამარცხებამდე, მისი პასუხისმგებლობა უდიდესი იყო. გრძნობდა, რას გრძნობდა ხალხი:

„ფეხბურთის მნიშვნელობა მათ არ ესმოდათ. არ ესმოდათ, თუ რას ნიშნავს შენი გუნდის კარგი თამაში. ჩვენ კი რამდენჯერმე ვიგრძენით დიდებული წამი. წამი, როდესაც ჩვენ ერთად ყოფნა შეგვიძლია. ჩვენ ეს გრძნობა დავიწყებული გვქონდა“.

თარგმნა
ილია ბაბუნაშვილმა

INDYCAR

ინდიკარის მსოფლიო სერიალი

# ტიტულისათვის ბრძოლა მწვავდება




„მარშლები“ მყის დაესივნენ კროსნოფს, მაგრამ რაღას უშველიდნენ?!

ფორმულა-1-ის ამერიკელი ბიძაშვილის — ინდიკარ-ის პირველობაზე ივნის-ივლისში ექვსი ეტაპი გაიმართა და ვითარებაც ერთობ დაიძაბა. ფორმულ-ისაგან განსხვავებით, იანკითა სათავკანო რბოლები ძალზედ საინტერესოდ მიმდინარეობს. აღნიშნულ პერიოდში გაიმარჯვა ერთბაშად ხუთმა პილოტმა. თუ სხვაობა ლიდერსა და მის უახლოეს მდევარს შორის 40 ქულა იყო, ერთიღა დარჩა. გარდა ამისა, დაიღუპა ერთი მრბოლი, კიდევ ერთი კი უეჭველ სიკვდილს გადაურჩა. ყოველივე ამასა და კიდევ ბევრ სხვა რამ საგულისხმოს ქვემოთ მოტანილ მიმოხილვაში დაწვრილებით გაეცნობით.

შემოკლებანი: რ — რეინარდი, ლ — ლოლა, პ — პენსკე; ფ — ფორდი, მ — მერსედესი, ჰ — ჰონდა

## VII ეტაპი

„აშშ-500“ რბოლის კვირის თავზე ჩატარდა მილუოკიში (ვისკონსინის შტატი). ჩემპიონატის ლიდერმა ჯიმი ვასერმა სტარტი მეორე ათეულიდან აიღო, პირველი სამეული კი ასე გამოიყურებოდა: ტრეისი (პმ), ფიტიპალდი (პმ), ანდრეტი (ლფ). საწყის წრეებზე პირველობისთვის ბრძოლაც ამ ორ უკანასკნელს შორის გაიმართა და ამერიკელის გამარჯვებით დასრულდა.

სხვა მრბოლებიდან მხოლოდ ანსერმა (პმ) მოახერხა ლიდერებს წამოსწეოდა და პიტ-სტოპების შემდეგ პირველ ადგილზე აღმოჩნდა. ანდრეტი თავიდან ბევრით ჩამორჩა ახალ ლიდერს, მაგრამ მალე გამოცოცხლდა და მეორე პიტ-სტოპის დროს პირველობაც დაიბრუნა. ამ დროს ლიდერთა ოთხეული ყველა პილოტს (მურის (რმ) გარდა) ერთი წრით უსწრებდა და მაყურებელიც დიდი ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს ინდიკარის ოთხი სახელოვანი ვარსკვლავის პაექრობას.

158-ე წრეზე ანდრეტიმ მოსახვევში შესვლისას შეცდომა დაუშვა, ამით ისარგებლა ანსერმა და ლიდერობა იგდო ხელთ, მაგრამ ცოტა ხანში ბლანდელი (რფ) კედელს შეეჯახა და ტრასზე პეის-კარი გამოჩნდა, რე-სტარტის დროს კი ანდრეტიმ იმარჯვა და მეტოქეები კვლავ უკან მოიტოვა.

196-ე წრეზე გრეგ მურს მანქანა მოუცურდა და რბოლა კვლავ ყვითელი ალმით გაგრძელდა. რე-სტარტი ბოლო წრის დასაწყისს დაემთხვა. ანდრეტიმ არც ამჯერადაც დაუტოვა შანსი „პენსკეს“ სამეულს და გაიმარჯვა.



ასე ხარობდა სერიალის ლიდერი ჯიმი ვასერი, მაგრამ მერე ცუდად წაუვიდა საქმე — ერთი კინკილა ქულითღაა წინ

## VIII ეტაპი

ჩატარდა დეტროიტში. წვიმამ კორექტივები შეიტანა გამარჯვებულის გამოვლენაში. საქმე ისაა, რომ „ინდიკარში“ ორი ტიპის საბურავს — „გუდიარსა“ და „ფაიარსტოუნს“ იყენებენ. პირველს სანვიმარი საბურავების მომზადების დიდი გამოცდილება აქვს, რადგან იგი ფორმულა-1-საც ამარაგებს, მეორე კი ამ განხრით ჯერჯერობით ჩამორჩება. ამან კვალი დაატყო კვალიფიკაციასა და რბოლას.

სტარტიდან პირველი დაიძრა პოულის მფლობელი პრუეტი (ლფ), მაგრამ პირველი წრის ბოლოს უმცროსმა ფიტიპალდიმ (ლფ) ბრწყინვალე მანევრით ჩამოიტოვა იგი და 64 წრის განმავლობაში ლიდერობდა კიდეც. იგი შესანიშნავად იყენებდა წვიმიან ამინდში რბოლის გამოცდილებას, რომელიც ფორმულა-3000-სა და ფორმულა-1-ში დაუგროვებია. მისმა თანაგუნდელმა ანდრეტიმაც კარგად გამოიყენა „გუდიარის“ უპირატესობა და მე-9 სასტარტო პოზიციიდან 27-ე წრისთვის მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

ამ დროს ორგანიზატორებმა პეის-კარი გამოუშვეს და რბოლაც წყნარად გაგრძელდა. ტრასა ნელ-ნელა შეშრა, პეის-კარმა ტრასა მიატოვა და რბოლამაც დაძაბული ხასიათი მიიღო. პილოტებმა სიჩქარეს უმატეს, მაგრამ ალაგ-ალაგ შერჩენილი გუბეები მათთვის მეტად სახიფათო დაბრკოლებას წარმოადგენდა.

მახეში პირველი ანსერი გაება. ერთ-ერთ მონაკვეთზე, როდესაც იგი თანაგუნდელ ტრეისის გასწრებას ლამობდა, მკვეთრი დამუხრუჭების მიუხედავად ბოლიდის შეჩერება მაინც ვერ მოახერხა და საბურავების ბარიერს შეეჯახა. რამდენიმე წრის შემდეგ ტრეისიც იმავე სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ რბოლის გაგრძელება მაინც მოახერხა.

66-ე წრეზე ანდრეტიმ თანაგუნდელის გასწრება შეძლო, სეზონში — მესამე, ხოლო კარიერაში 33-ე გამარჯვება იზეიმა და ინდიკარის მოქმედ პილოტთა შორის მოგებათა რაოდენობით პირველ ადგილზე გადავიდა.

## IX ეტაპი

23 ივნისს პორტლენდში (ორეგონი) გაიმართა და ჩემპიონატის დებიუტანტის — იტალიელი ზანარდის (რჰ) გამარჯვებით დამთავრდა. წინა ეტაპებზე ზანარდის არ უმართლებდა და მიუხედავად მშვენივრად წარმართული რბოლებისა, გამარჯვებისთვის აქამდე ვერ მიეღწია. ამ ჯერზე ახალგაზრდა მრბოლმა თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა. რბოლა საკმაოდ რთულ პირობებში მიმდინარეობდა: ოდნავ წვიმდა და „სლიკებით“ ასპარეზობა სახიფათო იყო, მაგრამ ჩემპიონატის ლიდერმა ვასერმა (რჰ) მაინც ასეთი საბურავებით ასპარეზობა ირჩია, მოცურდა და მოწინავე ადგილებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

რბოლის მეორე ნახევარში ანსერმა და ზანარდიმ საინტერესო პაექრობა გააჩაღეს. 38-ე წრეზე ანსერმა მოახერხა და 2 წრით ხელთ იგდო ლიდერობა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო და საბოლოოდ პირველობა ზანარდის დარჩა.

## X ეტაპი

გამოხდა ერთი კვირა და კლივლენდის აეროპორტის ასაფრენ ზოლზე მოწყობილ ტრასაზე „მედიკ დრაგ“-ის „დიდი პრიზის“ გათამაშება ჩატარდა.

პოული სეზონში მეოთხედ ვასერმა მოიგო, ზანარდი კი მას 0,014 წამით ჩამორჩა. ჩემპიონატის სხვა ლიდერებს არ გაუმართლათ: ტრეისი სტარტზე მე-16 იდგა, დე ფერანი — მე-7, ანდრეტი — მე13, ფიტიპალდი — მე-10.

წინა ეტაპზე გამარჯვებით ფრთებშესხმულმა ზანარდიმ პირველსავე წრეზე ჩაუქროლა თანაგუნდელს — ჩიპ განასის პილოტები ნელ-ნელა დაშორდნენ მდევრებს.

მალე იოჰანსონის (რმ) ავარიის გამო ტრასაზე პეის-კარი გამოჩნდა. ამ დროს პილოტები ბოქსებში შედიან ხოლმე საწვავისა და საბურავებისათვის, მაგრამ საჭიროა მომენტის ზუსტად შერჩევა, რათა ტრასაზე დაბრუნებისას მაჩანჩალათა შორის არ აღმოჩნდე.

ზანარდიმ ზუსტად გათვალა, მისი გუნდელი კი შეცდა და დაბრუნებისას ზოზინა პილოტების წრეში აღმოჩნდა. გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ცოტა ხნით ლიდერობა ანდრეტიმ იგდო ხელთ, მაგრამ მალე ისიც ბოქსებში შევიდა და ზანარდი კვლავ პირველ ადგილზე გადავიდა, მეორე პოზიცია კი დე ფერანმა (რჰ) დაიჭირა.

რბოლის ბოლომდე 10 წრე რჩებოდა, როდესაც ლიდერმა გაარკვია, რომ საწვავი უთავდებოდა და კვლავ ბოქსებში შევიდა. ტრასაზე დაბრუნების შემდეგ იგი გამუდმებით უტევდა ბრაზილიელს, მაგრამ ვერაფერს გახდა — დე ფერანმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

## XI ეტაპი

კანადაში, ტორონტოს ქუჩებში გაიმართა და ტრაგიკულად დასრულდა. 92-ე წრეზე 31 წლის ჯეფ კროსნოფის „რეინარდ-ტოიოტა“ იოჰანსონის (რმ) ბოლიდს წამოედო, ჰაერში აიჭრა, ნაწილ-ნაწილ დაიშალა, ტრასის შემომსაზღვრელ ბადეს მიენარცხა და იქვე მდგომ მომსახურეთა შორის დავარდა. პილოტი და ერთ-ერთი „მარშალი“ ადგილზევე დაიღუპნენ.

ავარიისას იოჰანსონის, უფროსი ფიტიპალდისა და რიბეიროს (ლჰ) ბოლიდებიც დაზიანდა. რბოლა შეწყდა. ბრაზილიელი ვეტერანი ასე იხსენებს ამ მომენტს:

„ის იყო, მესამე მოსახვევში შესასვლელად დამუხრუჭება დავიწყე, რომ უეცრად თვალი მოვკარი, თუ როგორ დაეშვა ჩემი „პენსკეს“ მარჯვენა წინა თვალზე ძრავი და ტრანსმისიის ნაწილები — კროსნოფის „რეინარდის“ ნამსხვრევები. თვით ჯეფის მანქანა ბარიერთან თავდაყირა ეგდო. სამწუხარო და საზარელი სურათი ვიხილე“.

მანამდე, შაბათს, კვალიფიკაცია ფერნანდესმა (ლჰ) მოიგო, მაგრამ სტარტის შემდეგ პირველობა იგდო ხელთ ზანარდიმ, ვისაც 37-ე წრეზე მურმა გაუსწრო, თუმც კი ორიოდე წრის შემდეგ იტალიელმა კვლავ დაიბრუნა ლიდერობა.

68-ე წრეზე ახალგაზრდა კანადელს კვლავ გაუჩნდა გამარჯვების შანსი, მაგრამ 10 წრის შემდეგ ბოქსებში შევიდა და პირველობა დაკარგა. ამ დროს ფერნანდესი 2,79 წამს უგებდა მეორე ადგილზე მყოფ ზანარდის.

85-ე წრეზე ტრასაზე პეის-კარი გამოვიდა და 90-ზეღა გაუჩინარდა. ფერნანდესმა მოახერხა რე-სტარტის მეტოქეზე უკეთ აღება და 91-ე წრის ბოლოს 1,98 წამს უგებდა ზანარდის. შემდეგ კროსნოფის ავარია მოხდა და რბოლაც შეწყდა.

## XII ეტაპი

ორი კვირის შემდეგ პილოტები ბრუკლინში (მიჩიგანი) შეიკრიბნენ, სადაც 28 ივლისს, „მიჩიგან ინტერნეშენალ რეისვეის“ ტრეკზე „მარლბორო-500“ გაიმართა.

ასპარეზობა მეტად დაძაბულად წარიმართა. ხშირი იყო ავარიები: ორი პილოტი — ემერსონ ფიტიპალდი (პმ) და პარკერ ჯონსტონი (რჰ) ჰოსპიტალში აღმოჩნდა, ხოლო ზანარდისა (რჰ) და ბრაზილიელი მორენოს (ლჰ) ავარიები მძვიდობიანად დასრულდა.

PPG WORLD SERIES

პოულიდან სტარტი ჩემპიონატის ლიდერმა ვასერმა აიღო და 15 წრე ილიდერა. მეორე წრის დასაწყისში ემერსონ ფიტიპალდის „პენსკე“ მურის „რეინარდის“ წინა მარჯვენა ბორბალს წამოედო. ემი ხერხემლისა და ფილტვის დაზიანებით სენტ-ჯოზეფის ჰოსპიტალში გააქანეს. იღბლად, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და ბრაზილიელი ვეტერანი არც პარალიზებულია. ავარიის მეორე მონაწილე — გრეგ მური ავარიის მიზეზად გაუხურებელ საბურავებს თვლის და ინციდენტი „წმინდა სარბოლად“ მიაჩნია.

მე-16 წრეზე ვასერი მისმა თანაგუნდელმა ზანარდიმ ჩამოიტოვა, შემდეგ კი ლიდერის პოზიციაზე რიგრიგობით იყვნენ მური, ანდრეტი, პრუეტი, ისევ ზანარდი, გუჟელმინი და რიბეირო (ლფ), რომელიც მე-8 წრეზე ბოქსებიდან ტრასაზე წესების დარღვევით დაბრუნების გამო „სტოპ-ენდ-გოუ“-თი დაჯარიმდა, მაგრამ მაინც მოახერხა ლიდერებში მოხვედრა.

230-ე წრეზე პრუეტმა (ლფ) ლიდერობა იგდო ხელთ და 5 წრის განმავლობაში პირველი იყო, მაგრამ მალე ჩამორჩენილებს წამოეწია. ამით რიბეირომ ისარგებლა და პირველ ადგილზე გადავიდა. პრუეტი მეორე აღმოჩნდა და ასე სდია ლიდერს, სანამ 241-ე წრეზე, გასწრების ამკრძალავი ყვითელი ალმების ფონზე, ძრავმა არ უმტყუნა.

რბოლის დასრულებამდე 7 წრით ადრე რე-სტარტი ყველაზე უკეთ რიბეირომ აიღო და ლიდერობაც შეინარჩუნა. პერტამ (რმ) მოახერხა ბრაზილიელი გუჟელმინის (რფ) ჩამოტოვება, ლიდერს შეუტია და ფინიშზე მხოლოდ 1,378 წამით ჩამორჩა 250-წრიანი მარათონის გამარჯვებულ რიბეიროს.

სერიალის ლიდერმა ვასერმა საბურავებთან დაკავშირებული პრობლემების გამო რბოლა მეცხრემ დაასრულა და პოულისთვის სარგო 1 ქულაც მიითვალა. გამარჯვება რიბეიროსთვის მეორე იყო სეზონში, „ჰონდამ“ კი 12 რბოლიდან 8-ში იზეიმა პირველობა.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ეტაპი დარჩა, პირველობისთვის ბრძოლა კი მწვავდება. ვასერი ანსერს მხოლოდ 1 ქულას უგებს, დე ფერანს — 20-ს, რაც ინდიკარისთვის უმნიშვნელო სხვაობაა. დაძაბული პაექრობაა „საუკეთესო ახალბედას“ სახელის მოსაპოვებლადაც. აქ ზანარდი და მური ცილობენ. წლევანდელი შედეგის მიუხედავად გაისად დე ფერანი ფორმულა-1-ში აპირებს გადასვლას, სადაც სტიუარტის ახალ გუნდში ირბოლებს.

12 ეტაპის შემდეგ: ვასერი (რჰ) 112 ქულა; ანსერი (პმ) 111; დე ფერანი (რჰ) 92; კრისტიან ფიტიპალდი (ლფ) 87; ანდრეტი (ლფ) 73; ზანარდი (რჰ) და მური (რმ) 72; . . .

ალეკო ჭაბუკიანი

რაგბი





სქოთ გიბსი

# თადარიგს იჭერენ

1999 წლის 6 ნოემბერს კარდიფის „არმზ პარკზე“ რაგბის IV მსოფლიო თასის ფინალი უნდა გაიმართოს.

მასპინძლები სტადიონის რეკონსტრუქციას წლეულს შემოდგომით შეუდგებიან. სავარაუდო ხარჯი 106 მილიონი გირვანქაა. განახლებული „არმზ პარკი“ 75 ათას მაყურებელს დაიტევს და მოძრავი სახურავი ექნება.

უელსელები გუნდსაც საგულდაგულოდ ამზადებენ. ნაკრებმა ივნისში მოვლო ავსტრალია, მაგრამ იქ დიდი ვერაფერი ოსტატობა გამოავლინა. ამის მიზეზი უთუოდ ისიცაა, რომ რაგბის მოყვარულობის ბოლო ათწლეულში ძალზედ ბევრი უელსელი ვარსკვლავი ფულმა აცდუნა და პროფესიული, 13-კაცა ბურთაობის ინგლისის ლიგაში გადაიყვანა.

შარშანდელ ზაფხულს აქეთ, რაც რაგბიც გაპროფესიულდა, უელსელებმა ლიგაში გაქცეულ თავისიანთა დაბრუნებისთვის დაიწყეს მეცადინეობა და უკვე ბევრს მიაღწიეს. 13-კაცა თამაშს უგანეს და მშობლიურ რაგბს დაუბრუნდნენ ვეტერანი უნივერსალი უკანახაზელი, ჯადოქრად ცნობილი ჯონათან დევისი, ძლიერი ბურჯი დევიდ იანგი და ხარივით მესამეხაზელი, ჯერ სულ ჯეელი სქოთ ქუინელი, ვინაც ბოლო ხანებში ლიგის საუკეთესო მორკინალად მიაჩნდათ. ზორბა შუამარბმა ჯონ დევრომაც გაიხსენა რაგბი, მაგრამ არდადეგების დროს ლიგის თამაშს კვლავაც აპირებს.

ამ კვირაში უელსელთა ბოლო განზრახვაც ასრულდა: მერდოქის ევროპული სუპერ-ლიგის ერთ-ერთმა ბობოლა კლუბმა — „სენთ-ჰელენსმა“ ხელი აიღო შუამარბ სქოთ გიბსზე, ვინაც ამ ორი წლის წინ, „ბრიტანელი ლომების“ ზელანდიური ტურნეს შემდეგ წაართვა უელსურ რაგბს. გიბსი თავის კლუბ „სვონზის“ დაუბრუნდა.

სამართალმა პური ჭამა. 13-კაცა თამაშმა უელსელთა გული ვერაფრით მოინადირა. მართალია, მსოფლიოში ძალით მეოთხე გუნდი კი ჰყავდათ, მაგრამ უელსელი ქომაგები მწვრთნელ ქლაივ გრიფითსის გუნდს მაინც არ წყალობდნენ. ასე მაგალითად, ამ ერთი თვის წინ ევროპის (სამ-გუნდა!) პირველობის გადამწყვეტ მატჩში უელსმა „არმზ პარკზე“ მოსისხლე ინგლისს რომ უმასპინძლა, თამაშს ოდენ 5 425 მოსეირე დაესწრო. ეს ბარემ 10-ჯერ ნაკლებია უელსი — ინგლისის რაგბის მატჩების აუდიტორიაზე და შარშან „არმზ პარკზევე“ გამართული უელსი — საქართველოს ფეხბურთის მატჩის დასწრებასაც ორგზის ჩამოუვარდება.

ლიგიდან დაბრუნებული ცდომილნი ნაკრებში ჯერ არ შეუყვანიათ. როცა ეს მოხდება, უელსი ალბათ აღარ იქნება ბრიტანული რაგბის მაჩანჩალა.

ნიკო ვეფხვაძე

უცხო ხილი (კრიკეტი)

# პაკისტანური დუბლი

პაკისტანელმა მოკრიკეტეებმა ინგლისში დუბლი გაახერხეს: ორშაბათს კაპიტან ვაზიმ აკრამის ბიჭებმა მსოფლიო კრიკეტის მექაში — ლონდონის „ლორდსზე“ პირველი ტესტი მოუგეს ინგლისს, ხუთშაბათს კი პაკისტანის ექს-კაპიტანი და დიდი ჯენტლმენი იმრან ხანი ლონდონის უზენაესმა სასამართლომ გაამართლა, აქაოდა ტყუიან მოსარჩლეები — ცნობილი ინგლისელი მოთამაშეები ალან ლემბი და იენ ბოუსამი, როცა დიდ მოკრიკეტეს აბრალებენ, ბურთის გარსის ხელყოფა დაგვაბრალა და თანაც პრესის მეშვეობით რასისტებად, უსწავლელებად და მდაბიოებად შეგვრაცხაო.

საქმე 13 დღე იხილებოდა და მსოფლიო მედიის ყურადღება არ მოკლებია. ნაფიცმა მსაჯულებმა — შვიდმა ბატონმა და ხუთმა ქალბატონმა ოთხი საათი იბჭეს და განაჩენი ისე გამოიტანეს. იმრანი გამართლდა, გამტყუნებულებმა კი საკასაციო ხარჯად 750 ათასი გირვანქა უნდა ზღონ.

საქმის გარჩევისას უამრავი ცნობილი მოწმე დაიკითხა. მავანნი პირდაპირ „ლორდსიდან“ მიბრძანდებოდნენ დარბაზში. ამ ერთხელაც გაცხადდა, რომ კაცობისა და კეთილსინდისიერების საზომად ცნობილ კრიკეტში ერთობა აქვს ფეხი გადგმული წვრილმან აფერისტობას — ბურთის მოწოდების წინ მისი გარსის დამუშავებას, რაც ტელეეკრანზეც მშვენივრადა ჩანს.



მუშტაყ აჰმედმა მეორე შესვლაში 5 ბჭე მოინადირა

რაც შეეხება ტესტს, იგი თავიდან ინგლისის უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ პაკისტანის ლამაზი გამარჯვებით კი დასრულდა. ვაზიმმა წილისყრა მოუგო ინგლისის კაპიტან მაიქ აფერთონს და ზოლზე შესვლა ირჩია, მაგრამ სტუმრებს დამწყები ტაფელოსნები თავიდანვე გაუგდეს. პირველი დღის ბოლოს პაკისტანი 290 გარბენს იყო 9 ბჭის სანაცვლოდ.

მეორე დღეს ინგლისმა სტუმრები 340 გარბენის ფასად გაისტუმრა, თავად კი შელამებისათვის 5 ბჭის მაგიერი 200 გარბენი მოაგროვა, მაგრამ გათენდა მესამე დღე — შაბათი და ინგლისმა [illegible]: დარჩენილი 5 ბჭე სულ რაღაც 25 გარბენად დაახურდავა, პირველ შესვლაში 285 მოაგროვა და მეტოქეს 55-ით ჩამორჩა.

პაკისტანმა შაბათი 162 (3 ბჭე) დაასრულა, კვირას კი სამხარს აღარ დაელოდა და ზოლზე მეორედ შესვლა ნებით მაშინ შეწყვიტა, როცა 352-ს იყო. ინგლისს დარჩენილ 4 სესიაში თამაშის მოსაგებად 408 გარბენი სჭირდებოდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ამდენს ვერ გაწვდებოდა. პირიქით, ყველა ღონე უნდა ეხმარა, სტუმრებს მათი 10 ტაფელოსანი არ გაეგდოთ.

ინგლისმა ორშაბათის სადილამდე გადასარევად ითამაშა: 152 გარბენი მოაგროვა, მარაგად კი კიდევ 9 ბჭე რჩებოდა, მაგრამ აქ იძალეს ვაყარ იუნუსმა და მუშტაყ აჰმედმა და ბოლო 9 ბჭე ისე მოინადირეს, რომ ინგლისმა 75 გარბენი ძლივს მიითვალა.

საბოლოო ანგარიში: პაკისტანი 340 და 352 (5) — ინგლისი 285 და 243; პაკისტანმა მოიგო 164 გარბენით.

თენგიზ არტამონოვი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29